

პირველი გამოცემა: Oxford and Cambridge Review, ნოემბერი, 1909 წელი

მანქანა გაჩერდება

I. დირიჟაბლი

წარმოიდგინეთ, თუკი შეძლებთ, მომცრო ოთახი, ექვსკუთხა ფორმისა, ფიქას რომ ჩამოჰგავდეს. მას არც ფანჯრიდან შემოსული შუქი ანათებს და არც ლამპა, თუმცა მაინც ნაზად ციმციმებს. არც გასანიავებელი ღრიჭობებია კედლებში, თუმცა ჰაერი მაინც სუფთაა. აქ არც მუსიკალური ინსტრუმენტებია, თუმცა, ახლა, მის ჭვრეტას რომ შევუდექი, ოთახში კეთილბოგანი ბგერები აუღერებულა. შუაში სავარძელი დგას, მის გვერდზე კი საკითხავი მერხი. სხვა ავეჯი ოთახში არაა. სავარძელში მჭიდროდ გამოკრული ხორცის მასა ჩამჭდარა. ქალია, დაახლოებით ხუთი ფუტის¹ სიმაღლისა, სახე სოკოსავით თეთრი აქვს. ეს პატარა ოთახი სწორედ მას ეკუთვნის.

ელექტროზარმა დარეკა.

ქალი ჩამრთველს შეეხო და მუსიკა შეწყდა.

„ალბათ, უნდა ვნახო, ვინაა,“ იფიქრა და სავარძელი დაძრა. ისიც, როგორც მუსიკა, მანქანურ მექანიზმებზე მუშაობდა და ქალი ოთახის მეორე ბოლოში გააქროლა, სადაც კვლავაც დაჟინებით რეკდა ზარი.

„ვინ არის?“ თქვა ქალმა. ხმაში გაღიზიანება ეტყობოდა, რადგან მას შემდეგ, რაც მუსიკა ჩართო, ხელი ბევჯერ შეუშალეს. ის რამდენიმე ათას ადამიანს იცნობდა. ადამიანური კავშირები გარკვეული მიმართულებებით საოცრად განვითარებულიყო.

თუმცა, ყურმილში ხმა რომ გაიგო, სახე ღიმილმა დაუნაოჭა და თქვა:

„კარგი. ვილაპარაკოთ, მართო დავრჩები. შემდეგ ხუთ წუთში არაფერი მნიშვნელოვანის მოხდენას არ ველი, შენთვის მხოლოდ ხუთი წუთის დათმობა შემიძლია, კუნო. მერე კი ლექცია უნდა ჩავატარო, „ავსტრალიური პერიოდის მუსიკა.“

ჯერ გამთიშს შეეხო, რომ სხვას ველარავის შეძლებოდა მასთან საუბარი, მერე კი სინათლის მოწყობილობას და პატარა ოთახი ბნელში შთაინთქა.

„ჩქარა!“ დაუძახა ისევ გაღიზიანებულმა. „ჩქარა, კუნო. ამ უკუნში დროს ვკარგავ.“

¹ დაახლ. მეტრ-ნახევარი

თუმცა, მრგვალი ფირფიტა, ხელში რომ ეჭირა, კიდევ თხუთმეტი წამი არ აელვარებულა. მერე კი მასზე მკრთალმა ლურჯმა შუქმა გაირბინა და როგორც კი ფირფიტა იისფრად ჩააბნელა, თავისი ვაჟის გამოსახულება დაინახა, რომელიც დედამინის მეორე ბოლოში ცხოვრობდა და ისიც ხედავდა დედას.

„რა ნელი ხარ, კუნო.“

კუნომ მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა.

„ასე მგონია, მართლა მოგწონს ზოზინი.“

„აქამდეც დაგირეკე, დედა, მაგრამ ან არ გეცალა, ან იზოლაციის მდგომარეობაში იყავი. ახლა კი რალაც მაქვს სათქმელი.“

„რა იყო, ძვირფასო? ჩქარა მითხარი. რატომ პნევმატური პოსტით არ გამომიგზავნე?“

„ასეთი რამ მირჩევნია, გითხრა. მინდა...“

„რაო?“

„მინდა მოხვიდე და მნახო.“

ვაშტი ლურჯ ფირფიტაზე ჩაჰყურებდა შვილის სახეს.

„ასე ხომ გხედავ!“ წამოიძახა. „მეტი რალა გინდა?“

„არ მინდა, მანქანით გიყურებდე. არ მინდა ამ მომქანცველი მანქანით გელაპარაკებოდე“, უპასუხა კუნომ.

„ო, გაჩუმიდი!“ მიუგო ოდნავ გაოგნებულმა დედამ. „მანქანაზე ასეთი რამის თქმა არ შეიძლება.“

„რატომაც არა?“

„არ შეიძლება.“

„ისე ლაპარაკობ, გეგონება, მანქანა ღმერთს შეექმნას“, ამოიგმინა შვილმა. „ასე მგონია, თავს ცუდად რომ გრძნობ, მასზე ლოცულობ. ნუ დაგავიწყდება, რომ ის ადამიანებმა შექმნეს. დიდმა ადამიანებმა, მაგრამ, მაინც ადამიანებმა. მანქანა ბევრი რამაა, მაგრამ ყველაფერი არ არის. ამ ფირფიტაზე შენ მაგვარ რამეს ვხედავ, მაგრამ შენ ვერა. ამ ტელეფონით შენი მსგავსი ხმა მესმის, მაგრამ შენი არა. ამიტომ მინდა, აქ მოხვიდე. მოდი, პირისპირ შევხვდეთ და გეტყვი, რა იმედები მაქვს.“

ქალმა უთხრა, რომ ამგვარი სტუმრობისათვის დრო თითქმის არა ჰქონდა.

„დირიჟაბლით ჩემთან ჩამოსასვლელად ორი დღეც კი არ დაგჭირდება.“

„დირიჟაბლები არ მომწონს.“

„რატომ?“

„არ მიყვარს, საზარელ ყავისფერ მიწას რომ ვხედავ, ზღვასა და ბნელში ვარსკვლავებს. დირიჟაბლში აზრები არ მომდის.“

„მე კი მხოლოდ დირიჟაბლში მომდის აზრები.“

„ჰაერს რა აზრები მოაქვს?“

შვილი წამით შეყოვნდა.

„გინახავს ოთხი ვარსკვლავი, მართკუთხედს რომ ქმნის, ამ მართკუთხედში სამი ვარსკვლავი ერთმანეთს ეჭდობა, მათზე კი სამი სხვა ვარსკვლავია გამოკიდული?“

„არა, არ მინახავს. ვარსკვლავები არ მიყვარს. რამე აზრი გაგიჩინეს? რა საინტერესოა, მომიყევი.“

„ვიფიქრე, ადამიანს ჰგვანან.“

„ვერ გავიგე.“

„ოთხი დიდი ვარსკვლავი, თითქოს, ადამიანის მხრები და მუხლებია.“

სამი შუა ვარსკვლავი ქამარს ჰგავს, ადამიანს რომ ოდესღაც ეკეთა ხოლმე, გამოკიდული სამი ვარსკვლავი კი, ხმაღს.“

„ხმაღს?“

„ადამიანები ხმლებს ატარებდნენ, რომ ცხოველები და სხვა ადამიანები დაეხოცათ.“

„კარგ აზრად არ მეჩვენება, მაგრამ ნამდვილად ორიგინალურია. პირველად როდის მოგაფიქრდა?“

„დირიჟაბლში,“ პასუხი გაწყდა, მაგრამ ქალს მოეჩვენა, რომ კუნო სევდიანი იყო. ზუსტად არ იცოდა, რადგან მანქანა მიმიკების ნიჟარსებს არ გადმოსცემდა. მხოლოდ ზოგად წარმოდგენას ქმნიდა ადამიანზე, ისეთ წარმოდგენას, პრაქტიკულ მიზნებს რომ აკმაყოფილებსო, გაიფიქრა ვაშტიმ. იმ თითქმის უნიშნო ყვავილობას, რომელშიც უარყოფილი ფილოსოფია ურთიერთობის ნამდვილ რაობას ხედავდა, მანქანა მართებულად უვლიდა გვერდს, ისე, როგორც ხელოვნური ხილის მწარმოებლები

უვლიდნენ გვერდს ვაზის თითქმის უნიშნო ყვავილობას. ჩვენი მოდგმა „დამაკმაყოფილებელ“ რამეებს კარგა ხანია, დასჯერებოდა.

„სიმართლე გითხრა, ამ ვარსკვლავების კვლავ ნახვა მსურს. უჩვეულო ვარსკვლავებია. მინდა, დირიჟაბლიდან კი არა, დედამიწის ზედაპირიდან დავინახო, როგორც ათასობით წლის წინ ჩვენმა წინაპრებმა. დედამიწის ზედაპირზე მინდა ასვლა.“

ქალი კვლავაც გაოგნდა.

„უნდა მოხვიდე. დედა, თუნდაც მარტო საიმისოდ, რომ ამიხსნა, დედამიწის ზედაპირზე ასვლა ცუდი რითაა.“

„არაფრით,“ უპასუხა ქალმა თავშეკავებულად, „მაგრამ კარგიც არაფერი მოაქვს. დედამიწის ზედაპირი მხოლოდ მტვერია და ტალახი, უსარგებლოა. დედამიწის ზედაპირი მხოლოდ მტვერია და და ტალახი, მასზე ცოცხალი აღარაფერია და აირწინალი უნდა გეკეთოს, თორემ გარე ჰაერის სიცივე მოგკლავს. ადამიანს გარე ჰაერი წამში კლავს.“

„ვიცი. უსაფრთხოების ზომებს, ცხადია, მივიღებ.“

„გარდა ამისა ეს ყოველივე...“

„რა?“

ქალი თავის სიტყვებს ჩაუკვირდა და ფრთხილად შეარჩია. კუნოს უცნაური ხასიათი ჰქონდა, დედას კი უნდოდა, მისთვის ეს ექსპედიცია გადაეფიქრებინა.

„ეპოქის სულს უპირისპირდება“, განუცხადა.

„ესე იგი, მანქანას უპირისპირდება?“

„გარკვეულწილად, თუმცა...“

ლურჯი ფირფიტებიდან მისი გამოსახულება გაქრა.

„კუნო!“

კუნო იზოლაციის მდგომარეობაში გადასულიყო.

ვაშტიმ წამიერად მარტოსულად იგრძნო თავი.

მერე შუქი აანთო და თავისი კაშკაშა, ელექტრონული ღილაკებით მოფენილი ოთახის დანახვამ გონზე მოიყვანა. ყველაფერი ღილაკებითა და ჩამრთველებით იყო დაფარული, საკვების, მუსიკისა თუ ტანსაცმლის მოსახმობი ღილაკებით. ერთი ღილაკი ცხელი აბაზანისა იყო და მასზე დაჭერისას იატაკიდან თბილი, უსუნო სითხით პირამდე სავსე

(ყალბი) მარმარილოს სტრუქტურა ამოდიოდა. ცივი აბაზანის ღილაკიც იყო. წიგნების გამომმუშავებელი ღილაკიც. და, რა თქმა უნდა, ის ღილაკებიც, რომლებითაც ქალი მეგობრებს უკავშირდებოდა. ოთახში არაფერი იყო, თუმცა ყველაფერ იმას უკავშირდებოდა, რაც ქალისათვის რამეს ნიშნავდა.

ამის შემდეგ, ვაშტიმ საიზოლაციო ჩამრთველი გამორთო და რაც ბოლო სამ წუთში დაგროვილიყო, ერთიანად დაატყდა თავს. ოთახი ზარების რეკვამ და სასაუბრო მიღების ხმაურმა აავსო. ახალი საჭმელი როგორი იყო? რეკომენდაციას გაუნწევდა, თუ არა? რამე აზრი ხომ არ მოსვლოდა ბოლო დროს? ხომ არ შეიძლებოდა, სხვებს გაეზიარებინათ მისთვის თავიანთი აზრები? საჯარო ბავშვთა სახლებში ვიზიტებს ხომ არ დაგეგმავდა ამ თვის ამა და ამ დღეს?

კითხვების უმეტესობას გაღიზიანებულმა უპასუხა. ეს შეგრძნება ამ აჩქარებულ დროებაში სულ უფრო მოხშირებულყო. ახალი საჭმელი, მისი აზრით, საშინელი იყო. ზედმეტად დაკავებული იყო, ბავშვთა სახლებს რომ სწვეოდა. აზრები თავად არ მოსვლია, მაგრამ ახლახანს უთხრეს, რომ ოთხი ვარსკვლავი, რომლის შუაშიც სამი ვარსკვლავია, ადამიანს ჰგავს, თუმცა ეეჭვებოდა, ეს მრავლისმომცემი ყოფილიყო. მერე კი კორუპონდენტები გამოთიშა, რადგან დრო იყო, ავსტრალიურ მუსიკაზე წაეკითხა ლექცია.

საჯარო შეკრებების თანმდევი მოუქნელობა კარგა ხანი იყო წარსულს ჩაბარებოდა. არც ვაშტი გასულა თავისი ოთახიდან და არც მისი მსმენელი საზოგადოება. თავის სავარძელში მჭდარი ლაპარაკობდა და სხვებს, თავთავიანთი სავარძლებიდან, საკმაოდ კარგად ესმოდათ მისი და საკმაოდ კარგად ხედავდნენ. ლექცია წინარემონტოლოურ ხანაში მუსიკასთან დაკავშირებული სასაცილო ამბით დაიწყო, მერე კი იმის აღწერაზე გადავიდა, როგორ გავრცელდა სიმღერის ჟანრი ჩინეთის დაპყრობის შემდგომ. ი-სან-სოსა და ბრიზბენის სკოლის მეთოდები შორეული და პირველყოფილური იყო, თუმცა, მისი აზრით (როგორც თავად თქვა), მათი კვლევა თანამედროვე მუსიკოსებისათვის ღირებული იქნებოდა. ისინი კვლავაც ახლებური იყო და, რაც მთავარია, აზრებს შეიცავდა.

მისმა ლექციამ, რომელიც ათ წუთს გაგრძელდა, მოწონება დაიმსახურა, ამის შემდეგ კი მან და მისმა ბევრმა მსმენელმა სხვა ლექცია მოისმინა ზღვის შესახებ. ზღვიდან ხომ აზრების მიღება შეიძლება. თურმე, მთხრობელი აირწინალით ჩასულიყო ზღვაში. მერე ვაშტი გამოიკვება, ბევრ მეგობარს ესაუბრა, აბაზანა მიიღო, კვლავ ესაუბრა მეგობრებს და სანოლი მოიხმო.

სანოლი არ მოსწონდა. ზედმეტად დიდი იყო, მას კი პატარა სანოლში ძილი ერჩივნა. ჩივილს აზრი არ ჰქონდა, რადგან მთელ სამყაროში ყველა სანოლი ერთი და იგივე ზომისა

იყო და სხვაგვარის ქონას *მანქანაში* უამრავი ცვლილების შეტანა დასჭირდებოდა. ვაშტიმ იზოლაციის მდგომარეობაში გადაინაცვლა. ასე იყო საჭირო, რადგან მინის ქვეშ არც დღე არსებობდა და არც ღამე. იმ ყველაფერზე ფიქრობდა, რაც მას შემდეგ მოხდა, ბოლოს რაც მოიხმო საწოლი. აზრები? თითქმის არც ერთი. მოვლენები? ნეტავ, კუნოს მოწვევას თუ ეთქმოდა მოვლენა?

მის გვერდით, პატარა საკითხავ მერხზე წიგნი იდო, ნარჩენების ხანების გადმონაშთი. ეს *მანქანის წიგნი* იყო. მასში ყოველ გაუთვალისწინებელ შემთხვევაზე მოიძებნებოდა საპასუხო ინსტრუქცია. სცხელოდა, სციოდა, დისპეფსია ანუხებდა თუ რამე სიტყვას ვერ იხსენებდა, წიგნს შლიდა და იგებდა, რომელი ღილაკისთვის დაეჭირა. წიგნი *ცენტრალურმა კომიტეტმა* გამოსცა. როგორც თანდათანობით სხვა ყოველივე, წიგნის ყდაც მდიდრულად გამოიყურებოდა.

საწოლში წამოჯდა და წიგნი მოწინებით აიღო ხელში. მბზინვარე ოთახი ისე მიმოათვალიერა, თითქოს ვინმე უთვალთვალედა. მერე, ნახევრად დარცხვენითა და ნახევრად სიხარულით ჩაიჩურჩულა, „ო, *მანქანავ!* ო, *მანქანავ!*“ და წიგნი ტუჩებთან მიიტანა. სამჯერ ემთხვია, სამჯერ დახარა თავი და სამჯერ იგრძნო მორჩილებით მოგვრილი ალტაცება. რიტუალი რომ შეასრულა, 1367-ე გვერდზე გადაშალა, რომელზეც დირიჟაბლების გამგზავრების განრიგი იყო მოცემული სამხრეთ ჰემისფეროდან, რომლის ნიადაგქვეშაც თავად ბინადრობდა, ჩრდილოეთ ჰემისფეროსაკენ, რომლის ქვეშაც მისი ვაჟი ცხოვრობდა.

„დრო არ მაქვს,“ გაიფიქრა.

ოთახი ჩააბნელა და დაიძინა. გაიღვიძა და ოთახი გაანათა. ჭამა და მეგობრებს აზრები გაუცვალა, მუსიკას მოუსმინა და ლექციებს დაესწრო. ოთახი ჩააბნელა და დაიძინა. მის ქვეშ, თავზე და გარშემო, *მანქანა* უწყვეტად ზუზუნებდა. ამ ხმას ვერც კი ამჩნევდა, რადგან დაბადებიდან ედგა ყურში. სიჩუმეში მქროლვარე დედამინაც ზუზუნებდა და ისიც თან მიჰყავდა, ხან უჩინარი მზისკენ მიაბრუნა და ხანაც უჩინარი ვარსკვლავებისკენ. გაიღვიძა და ოთახი გაანათა.

„კუნო!“

„სანამ არ ჩამოხვალ, არ დაგელაპარაკები,“ მიუგო მან.

„ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ დედამინის ზედაპირზე ახვედი?“

მისი გამოსახულება გაიცრიცა.

კვლავაც გადაშალა წიგნი. ძალიან ალელდა აკანკალებული გადაწვა სავარძელზე. ისეთი წარმოიდგინეთ, თითქოს არც კბილები ჰქონდეს და არც თმა. ახლა კი სავარძელი კედლისკენ შეაბრუნა და უცხო ღილაკს დააჭირა თითი. კედელი ტორტმანით გაიყო შუაზე. ნაპრალში ბილიკი დალანდა, რომელიც გვერდულად მრუდდებოდა, ამიტომ ბოლო არ უჩანდა. შვილის სანახავად წასვლას თუ გადანყვეტდა, მისი მგზავრობა აქედან დაიწყებოდა.

ცხადია, კავშირგაბმულობის სისტემას კარგად იცნობდა. მასში იდუმალი არაფერი იყო. მანქანას მოიხმობდა, რომელიც გვირაბში გააფრენდა და იმ ლიფტს მიადგებოდა, რომელიც დირიჟაბლების სადგურს უკავშირდებოდა. ამ სისტემას *მანქანის* საყოველთაოდ დამკვიდრებამდე უამრავი წლით ადრეც იყენებდნენ. ცხადია, წინარე ცივილიზაციასაც იცნობდა. ცივილიზაციას, რომელსაც სისტემის დანიშნულება ის ეგონა, ადამიანები საგნებამდე მიეყვანა, იმის ნაცვლად, რომ საგნები მოეტანა ადამიანებამდე. რა სასაცილოა წარსული. ამ დროს ხომ ადამიანები თავიანთ ოთახებში ჰაერის გამოცვლის მაგიერ ჰაერის გამოსაცვლელად მიემგზავრებოდნენ! და მაინც აშინებდა გვირაბი. მას მერე არ ენახა, რაც მისი ყველაზე უმცროსი შვილი დაიბადა. გვირაბი მრუდდებოდა, ოღონდ, მთლად ისე არა, როგორც ახსოვდა. კაშკაშებდა, ოღონდ მთლად ისე არა, როგორც როგორც ლექციის მთხრობელი აღწერდა. ვაშტი უშუალო გამოცდილებით მოტანილმა ძრწოლამ აიტანა. უკან დაიხია და კედელიც ამოივსო.

„კუნო, ვერ მოგინახულებ. თავს ცუდად ვგრძნობ,“ თქვა მან.

ჭერიდან იმწამსვე ჩამოეშვა უზარმაზარი მონყობილობა და მის გულზე ავტომატურად განთავსდა თერმომეტრი. უმწეოდ იწვა. შუბლზე გრილი საფენები ედო. კუნო მის ექიმს ტელეგრაფით დაკავშირებოდა.

ადამიანური ვნებები *მანქანაში* კვლავაც დუღდნენ. ვაშტიმ ექიმის პროეცირებული წამალი გადაყლაპა და მონყობილობა ისევ ჭერში განთავსდა. კუნოს ხმა ეკითხებოდა, თავს როგორ გრძნობდა.

„უკეთ,“ უპასუხა, მერე კი გაღიზიანებულმა დაამატა, „მაგრამ რატომ არ შეიძლება, თავად მესტუმრო?“

„იმიტომ, რომ აქაურობას ვერ მივატოვებ.“

„რატომ?“

„რადგან ყოველ წამს შეიძლება რამე ცუდი მოხდეს.“

„დედამინის ზედაპირზე უკვე ახვედი?“

„ჯერ არა.“

„აბა, რა ხდება?“

„მანქანით არ გეტყვი.“

ვაშტიმ ცხოვრება განაგრძო.

თუმცა, კუნოს ბავშვობაზე ფიქრობდა. მის დაბადებაზე, საჯარო ბავშვთა სახლში გადაყვანაზე, მასთან და მის სტუმრობებზე, სტუმრობებზე, რომლებიც მაშინ დასრულდა, როცა მანქანაში კუნოს დედამიწის მეორე ბოლოში მიუჩინა ოთახი. „მშობელთა მოვალეობები ბავშვის დაბადებისას სრულდება. P.422327483,“ ეწერა მანქანის წიგნში. ასეც იყო, თუმცა კუნო რაღაცით გამოირჩეოდა, მისი ყველა შვილი გამოირჩეოდა რაღაცით და თუკი კუნოს ასე სურდა, მგზავრობასაც არ უნდა შეშინებოდა. რამე ცუდი შეიძლება მოხდესო. რას გულისხმობდა? ნამდვილად ახალგაზრდული სისულელე იქნებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა წასულიყო. კვლავაც დააჭირა უცხო ღილაკს, კვლავაც გაიხსნა კედელი და გვირაბიც დაინახა, ბოლო რომ არ უჩანდა. ხელში წიგნჩაბღუჭული წამოდგა, ბარბაცით დადგა პლატფორმაზე და მანქანა მოიხმო. ოთახი მის ზურგს უკან დაიხურა. ჩრდილოეთ ჰემისფეროში მიემგზავრებოდა.

რა თქმა უნდა, ყველაფერი მარტივი იყო. მანქანა მოვიდა, სწორედ ისეთ სავარძლებიანი, თავადაც რომ ჰქონდა. ნიშანი რომ მისცა, მანქანა გაჩერდა და ახლა ლიფტში შებარბაცდა. ლიფტში სხვა მგზავრიც იყო, პირველი ადამიანი, რომელსაც მრავალი თვის შემდეგ პირისპირ შეხვდა. ამ დროში თითქმის აღარავინ მოგზაურობდა, ვინაიდან, მეცნიერების დამსახურებით, დედამიწა ერთგვაროვანი გამხდარიყო. კავშირების სისწრაფემ, რომელზეც წინარე ცივილიზაცია დიდ იმედებს ამყარებდა, თავისივე თავი დაამარცხა. პეკინში წასვლა ვის რაში სჭირდებოდა, როცა იქაურობა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა შრუსბერის? ან შრუსბერიში რაღატომ დაბრუნდებოდი, როცა იქაურობა ზუსტად პეკინისნაირი იყო? ადამიანები სხეულებს იშვიათად თუ ამოძრავებდნენ. მოუსვენრობას სულშიღა დაეგანებინა.

დირიჟაბლის სერვისი წინარე ეპოქის ნაშთი გახლდათ. კვლავაც ამუშავებდნენ, რადგან ეს მის გაუქმებაზე თუ რაოდენობის შემცირებაზე მარტივი იყო, თუმცა მოსახლეობის საჭიროებებს ნამდვილად სცდებოდა. დირიჟაბლები ერთიმეორის მიყოლებით ფრინდებოდნენ რაისა და ქრაისტჩერჩის (ადგილების ანტიკური სახელებს გამოვიყენებ)

ვომიტორიუმებიდან², საკვსე ცაზე მიცურავდნენ და ცარიელები ეშვებოდნენ სამხრეთის მისადგომებში. სისტემა ისეთი გამართული იყო, მეტეოროლოგიისაგან ისეთი დამოუკიდებელი, რომ ცა, ღრუბლიანი იქნებოდა თუ მშვიდი, დირიჟაბლიდან ვრცელ კალეიდოსკოპს წაავადა, ზედ რომ პერიოდულად ჩნდებოდნენ ერთი და იგივე ფორმები. ის დირიჟაბლი, ვაშტი რომლითაც მგზავრობდა, ხან მზის ჩასვლისას მიემგზავრებოდა და ხანაც გარიჟრაჟზე, თუმცა, როგორც ყოველთვის, რეიმისის თავზე რომ მოექცეოდა, იმ დირიჟაბლს ჩაუფრენდა ხოლმე, ჰელსინკისა და ბრაზილიას შორის რომ დაფრინავდა და ალპებზე გადაფრენის ყოველ მესამე ჯერზე, მის გავლილს პალერმოს ფლოტი მიუყვებოდა უკან. ადამიანს ვერც დღე და ღამე აფერხებდა, ვერც ქარი და შტორმი და ველარც წყალდიდობა და მინისძვრა. მას ხომ ლევიათანი უღელში შეება. ძველი ლიტერატურა, მთელი თავისი ბუნების ხოტბითა თუ მისადმი ძრწოლით, ბავშვის ტიტინივით ფუჭი მოჩანდა.

და მაინც, დირიჟაბლის უზარმაზარ, გარე ჰაერთან შეხებისაგან დალაქავებულ გვერდებს რომ შეხედა, ვაშტიმ კვლავ იგრძნო უშუალო გამოცდილებით მოტანილი ძრწოლა. მონყობილობა კინემატოფოტში ნანახს ბოლომდე არ ჰგავდა. ჯერ ერთი, სუნი ჰქონდა. მართალია, ძლიერი ან უსიამოვნო სუნი არა, მაგრამ თვალდახუჭულიც გრძნობდა უცხო რამის სიახლოვეს. ისიც იყო, რომ ლიფტიდან გადმოსულს, დირიჟაბლთან მისასვლელად მოუნია, სხვა მგზავრების მზერა ეგრძნო. წინ მდგომ კაცს წიგნი დაუვარდა. დიდი არაფერი, თუმცა ამან ყველა ააღელვა. თუკი წიგნი ოთახებში დაგივარდებოდა, იატაკი მექანიკურად დაიჭრდა. დირიჟაბლის საბიჯელი საამისოდ არ იყო მონყობილი, ამიტომ წმინდა წიგნი უძრავად ეგდო ძირს. ამ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო შეჩერდნენ, კაცმა კი თავისი კუთვნილების უკან ალების ნაცვლად, მხრის კუნთები მოისინჯა, რომ მიმხვდარიყო, ეს როგორ დაემართა. მერე ვილაცამ მართლაც წარმოთქვა უშუალო სიტყვები, ასე ხომ დავიგვიანებთო და ყველანი დირიჟაბლში ავიდნენ. ვაშტის მოუნია, წიგნის ფურცლებზე გადაეკლო.

დირიჟაბლში კიდევ უფრო აღელდა. იქაურობა ძველმოდური და არცთუ კეთილმონყობილი იყო. მგზავრობისას ისიც კი მოუწევდა, თუ რამე დასჭირდებოდა, ქალი გამცილებლისათვის მიემართა. მართალია, დირიჟაბლს მთელ სიგრძეზე გასდევდა მბრუნავი პლატფორმა, თუმცა იქიდან თავის კაბინამდე ფეხით უნდა მისულიყო. ზოგი კაბინა სხვებს სჯობდა და ვაშტის საუკეთესო არ შეხვდა. ჩათვალა, გამცილებელი ქალი

² ვომიტორიუმი - ძველ რომში ამფითეატრში შესასვლელი. თანამედროვეობაში, ერთგვარი ფართო გასასვლელი, მაგ. სტადიონებიდან, ან თეატრებიდან. მოთხრობაში ეს ტერმინი ქალაქებიდან გასასვლელ სტრუქტურებს აღნიშნავს.

უსამართლოდ მოექცა და რისხვით აღივსო. შუშის სარქველები უკვე დაეკეტათ და უკან ვერ გაბრუნდებოდა. ვესტიბულის ბოლოში ხედავდა, როგორ მოძრაობდა ზემოთ-ქვემოთ უხმო, ცარიელი ლიფტი, რომლითაც თავად მოვიდა აქამდე. მბზინავი ფილებით მოპირკეთებული კორიდორების ქვეშ, დედამინის სიღრმეში, ოთახები რიგებად იყო განლაგებული. თითოეულ მათგანში ადამიანი იჯდა, ჭამდა, ეძინა, ან აზრებს გამოიმუშავებდა. ამ სკის სიღრმეში იყო ჩაფლული მისი ოთახიც. ვაშტის ეშინოდა.

„ო, მანქანავ!“, ჩაიბუტბუტა და თავის წიგნს ნაზად გადაუსვა ხელი. ამან დაამშვიდა.

მერე კი ვესტიბულის ორივე მხარე, თითქოს, ერთმანეთში ისე გადაიდღვობა, როგორც სიზმრად ნანახი გასასვლელები. ლიფტი გაუჩინარდა, ძირს დაგდებული წიგნი კი მარცხნივ გადავარდა და ისიც გაქრა, პრიალა ფილებმა წყლის ნაკადივით ჩაიქროლეს, ოდნავი რყევა და თავისი გვირაბიდან აფრენილი დირიჟაბლი ტროპიკული ოკეანის თავზე გამოეკიდა.

დაღამებულიყო. წამიერად დალანდა ფოსფორული ტალღებით შემოსაზღვრული სუმატრის სანაპირო, გვირგვინებით რომ შეემკოთ შუქურებს, რომლებიც კვლავაც გზავნიდნენ თავიანთ ან უკვე უმნიშვნელო სიგნალებს. მერე ეს ყოველივეც გაქრა და ახლა ვარსკვლავებსღა უცქერდა. ისინი უძრავად კი არ იწვნენ, წინ და უკან ირწეოდნენ მის თავზე და ერთი სარქველიდან მეორეში ისე ინაცვლებდნენ, თითქოს დირიჟაბლი კი არა, თავად სამყარო იხრებოდა გვერდზე. და როგორც მოწმენდილ ცაზეა ხოლმე ღამით, ვარსკვლავები ხან მკაფიოდ მოჩანდნენ, ხან სიბრტყეზე, ხან წყებებად ლაგდებოდნენ ცის უსაზღვრო თაღზე და ხანაც უსასრულობას იფარავდნენ, იმ ჭერის დარად, ადამიანთა ჭვრეტას რომ ზღუდავს მუდამ. ყველა ვერსია გაუსაძლისი იყო. ბნელში უნდა ვიმგზავროთო? კითხულობდნენ მგზავრები ბრაზით, უყურადღებო გამცილებელმა კი შუქი აანთო და დრეკადი მეტალის დარაბები ჩამოუშვა. დირიჟაბლები როცა შექმნეს, სამყაროში ჯერაც შემორჩენილიყო ამა თუ იმ რამისათვის პირდაპირ ცქერის სურვილი, რამაც სარქველებისა და ფანჯრების უზომო რაოდენობა და, შესაბამისად, ცივილიზებულთა და ზრდილთა დისკომფორტი შვა. ვაშტის კაბინაშიც კი მოჩანდა დარაბის ნაწილიდან ერთი ვარსკვლავი და რამდენიმე საათის მოუსვენარი ძილის შემდეგ, განთიადის უცხო ციმციმმა შეაწუხა.

დირიჟაბლი სწრაფად მიიწვედა დასავლეთისკენ, თუმცა დედამინა აღმოსავლეთისაკენ სწრაფადვე მიცურავდა და ვაშტი და მისი თანამგზავრები მზისკენ მიექცია. მეცნიერებას ღამის გახანგრძლივება მოეხერხებინა, თუმცა, მხოლოდ მცირეოდენით და დედამინის დღიური ბრუნვის შეცვლის იმედი სხვა უფრო დიდ იმედებთან ერთად გამქრალიყო.

„მზისთვის მიდევნება“ და მისთვის გადასწრება წინარე ცივილიზაციის მიზანი გახლდათ. საამისოდ სარბოლი თვითმფრინავები შეიქმნა, რომლებსაც უზარმაზარი სიჩქარის განვითარება შეეძლოთ და იმ ეპოქის ყველაზე დიდი მოაზროვნეები მართავდნენ. დაფრინავდნენ პლანეტის გარშემო, უვლიდნენ და უვლიდნენ გარს, დასავლეთით და დასავლეთით, დაფრინავდნენ და დაფრინავდნენ კაცობრიობის ოვაციების ფონზე. სულ ამოდ. პლანეტა მაინც აღმოსავლეთით მიიწევდა, საშინელი შემთხვევები დატრიალდა და მანქანის კომიტეტმა, იმ დროს რომ ითქვამდა სახელს, ეს პრაქტიკა უკანონოდ, არამექანიკურად და უსახლკარობით დასჯადად გამოაცხადა.

უსახლკარობაზე მოგვიანებით ითქმება მეტი.

ეჭვგარეშეა, კომიტეტი არ ცდებოდა. თუმცა, „მზის დამარცხების“ მცდელობამ ჩვენს მოდგმაში ციურ სხეულებთან და, საერთოდ, რაიმესთან დაკავშირებული უკანასკნელი საერთო ინტერესი აღძრა. ადამიანები ბოლოჯერ გააერთიანა სამყაროსმილმა ძალაზე ფიქრმა. მზე ძლევამოსილი იყო, თუმცა მისი სულიერი ძალაუფლება აქ დასრულდა. ცისკარს, შუადღეს, ბინდსა თუ ზოდიაქოს გზას არც ადამიანთა ცხოვრებაზე ჰქონდა ხელი და აღარც მათ გულებზე, მეცნიერება კი მიწაზე დაეშვა და იმ პრობლემებს მიაპყრო ყურადღება, რომელთა გადაჭრის უნარშიც ეჭვი არ ეპარებოდა.

ასე და ამგვარად, მის კაბინაში შემოჭრილმა სინათლის ვარდისფერმა თითმა ვაშტი გააღიზიანა და დარაბის ჩამოფარება სცადა, თუმცა ეს უკანასკნელი საერთოდ მოიშალა და ახლა სარქველში მომცრო მოვარდისფრო ღრუბლებს ხედავდა, ლურჯ ფონზე რომ ირწეოდნენ, ხოლო როცა მზემ უფრო ზემოთ გადაინაცვლა, იქაურობა პირდაპირ ააკაშკაშა და კედელს ოქროვანი ზღვასავით მოჰფინა თავისი შუქი. ტალღებივით მისდევდა დირიჟაბლის ზევით-ქვევით რწევას, თუმცა ზღვის მიმოქცევასავით თანაბრად მოიწევდა წინ. ფრთხილად თუ არ იქნებოდა, ვაშტის პირდაპირ სახეში შეანათებდა. თავზარი დაეცა და გამცილებელს უხმო. ისიც შეძრწუნდა, თუმცა ვერაფერს გახდა, დარაბის შეკეთება მასაც არ შეეძლო. ისლა შესთავაზა, სხვა კაბინაში გადაენაცვლა და ვაშტიც საამისოდ მოემზადა.

ადამიანები მთელ მსოფლიოში თითქმის აბსოლუტურად ერთნაირი იყვნენ, თუმცა, დირიჟაბლის გამცილებელი, იქნებ, თავისი უჩვეულო საქმიანობის გამო, ცოტა განსხვავებულად იქცეოდა. მგზავრებთან პირისპირ საუბარი ხშირად უწევდა, რასაც მისი ქცევა მოუხეშავი და თავისებური გაეხადა. როცა ვაშტიმ წამოიკივლა და მზის სხივებს მოერიდა, გამცილებელმა მისაშველებლად ბარბაროსულად გამოუწოდა ხელი.

„როგორ ბედავთ! თავი დაგვიწყნიათ!“ შეჰყვირა ვაშტიმ.

შეცბუნებულმა ქალმა მოუბოდიშა, რომ დაცემა არ დააცადა. ადამიანები ხომ ერთმანეთს აღარ ეხებოდნენ. ეს ჩვეულება მანქანის წყალობით მოშლილიყო

„ახლა სად ვართ?“ იკითხა მედიდურად.

„აზიის თავზე,“ უპასუხა გამცილებელმა, მღელვარედ რომ ცდილობდა, თავაზიანი გამოჩენილიყო.

„აზიის?“

„მომიტევით, ასე ვულგარულად რომ ვსაუბრობ. ჩვევად მექცა, იმ ადგილებს, რომლებსაც გადავუფრენ ხოლმე, არამექანიკური სახელები დავუძახო.“

„მახსოვს აზია. აზიიდან მონღოლები იყვნენ.“

„ჩვენს ქვემოთ, ღია ცის ქვეშ, ქალაქი იდგა, რომელსაც ერთ დროს სიმლა ერქვა.“

„გსმენიათ მონღოლებზე და ბრიზბენის სკოლაზე?“

„არა.“

„ბრიზბენიც ღია ცის ქვეშ მდებარეობდა.“

„მარჯვენა მხარეს რომ მთებია, შეხედეთ,“ თქვა გამცილებელმა და მეტალის დარაბას უბიძგა. სარქველში ჰიმალაის მთავარი ქედი გამოჩნდა, „ერთ დროს ამ მთებს სამყაროს სახურავს ეძახდნენ.“

„რა უგუნური სახელია!“

„ნუ დაგავიწყდებათ, რომ ცივილიზაციის დასაბამამდე ისინი გაუვალ კედლად ესახებოდათ, რომელიც ვარსკვლავებს სწვდებოდა. ეგონათ, ღმერთების გარდა, მათ მწვერვალებზე ვერავინ იარსებებდა. რა შორს წავედით მანქანის წყალობით!“

„რა შორს წავედით მანქანის წყალობით!“ თქვა ვაშტიმაც.

„რა შორს წავედით მანქანის წყალობით!“ გაიმეორა დერეფანში მდგარმა მგზავრმა, ნუხელ რომ წიგნი დაუვარდა.

„და ნაპრალებში რომ თეთრი ფერისაა, ეს რაღაა?“

„სახელი დამავიწყდა.“

„დარაბა ჩამოუშვით, გთხოვთ. ეს მთები არავითარ აზრს არ მიჩენენ.“

ჰიმალაის ჩრდილოეთი მხარე ღრმა ჩრდილში ჩაძირულიყო, ინდურ ქანობს კი თანდათან ეფინებოდა მზე. ტყეები ლიტერატურულ ეპოქაში ჟურნალ-გაზეთების დასაბეჭდად

განადგურდა, თუმცა თოვლი კვლავაც იღვიძებდა დილის ბრწყინვალებაში, ღრუბლები კი კანჩენჯანგას მკერდს გამოკრულიყვნენ. ველებზე მოჩანდა ქალაქთა ნაშთები, რომელთა კედლებს მიღებული მდინარეები მიუყვებოდნენ, იქვე კი ზოგჯერ ვომიტორიუმების ნიშნებსაც შენიშნავდით, იმდროინდელი ქალაქების აღმნიშვნელებად რომ ქცეულიყვნენ. მთელ ჰორიზონტზე მიიჩქაროდნენ დირიჟაბლები, თავდაჯერებულად სერავდნენ ერთმანეთის ტრაექტორიებს და უდარდელად აღზევდებოდნენ, როცა ტროპოსფეროს ქაოსისათვის თავის დაღწევა და სამყაროს სახურავის გადაკვეთა მოესურვებოდათ.

„მანქანის წყალობით ნამდვილად შორს წავედით,“ გაიმეორა გამცილებელმა და ჰიმალაის მთებს მეტალის დარაბა ჩამოაფარა.

დღე ზღაბვნიტ გადიოდა. ყოველი მგზავრი თავის კაბინაში იჯდა, თითქმის ფიზიკური ზიზღით ერიდებოდა სხვებს და დედამიწის ზედაპირქვეშ დაბრუნებას ნატრობდა. რვანი ან ათნი იყვნენ, უმეტესად, ახალგაზრდა კაცები, საჯარო ბავშვთა სახლებიდან რომ სამყაროს სხვადასხვა ნაწილებში გარდაცვლილთა ოთახების დასაკავებლად გამოეგზავნათ. ის კაცი, წიგნი რომ დაუვარდა, სახლში ბრუნდებოდა. სუმატრაში ადამიანთა მოდგმის გამრავლების მიზნით გაეშვათ. საკუთარი ნებით მხოლოდ ვაშტი მგზავრობდა.

შუადღისას ხელმეორედ გახედა დედამიწას. დირიჟაბლი ახლა მთათა სხვა სისტემას კვეთდა, თუმცა, ღრუბლების წყალობით, ბევრს ვერაფერს არჩევდა. მის ქვეშ ქვათა შავი მასები გამოკიდულიყვნენ და ბაცად ერწყმოდნენ ნაცრისფერს. უცნაური ფორმები ჰქონდათ, ერთი მათგანი მიწაზე გართხმულ ადამიანს მოჰგავდა.

„არც აქედან მიჩნდება აზრები,“ ჩაიბუტბუტა ვაშტიმ და კავკასიონს მეტალის დარაბა ჩამოაფარა.

საღამოხანს კვლავ გაიხედა გარეთ. ოქროსფერ ზღვას კვეთდნენ, რომელზეც მრავალი პატარა კუნძული და ერთი ნახევარკუნძული მოჩანდა.

„არც აქედან,“ გაიმეორა და ახლა საბერძნეთს ჩამოაფარა მეტალის დარაბა.

2. თვითაღმდგენი მექანიზმი

ვესტიბიულის, ლიფტის, მილის ფორმის რკინიგზის, პლატფორმისა და სასრილო კარის მეშვეობით, თავისი გამომგზავრების თითოეული ნაბიჯის უკუღმა გავლით, ვაშტი შვილის ოთახს მიადგა, რომელიც ზუსტად ჰგავდა საკუთარს. ფიქრობდა, ეს სტუმრობა ნამდვილად ზედმეტობა იყო. ღილაკები, სახელურები, საკითხავი მერხი ზედ წიგნით, ტემპერატურა,

ატმოსფერო, სინათლე - ყოველივე იდენტური იყო. და თუნდაც კუნო, მისი სისხლი და ხორცი, როგორც იქნა, გვერდით დგომოდა, განა, რა ხეირი? საიმისოდ მეტისმეტად კარგად იყო აღზრდილი, მისთვის ხელი ჩამოერთმია.

ისე, რომ შვილს თვალს არიდებდა, თქვა:

„აი, მოვედი. ყველაზე საშინელი მგზავრობა გამოვიარე, რომელმაც ჩემი სულიერი განვითარება მნიშვნელოვნად შეანელა. არ ღირს, კუნო, არ ღირს. ჩემი დრო საამისოდ ზედმეტად ძვირფასია. თითქმის, მზის შუქი მომწვდა და ყველაზე უხეშ ადამიანებს გადავეყარე. მხოლოდ რამდენიმე წუთით შემიძლია, გავჩერდე. მითხარი, რისი თქმაც გინდა, მერე კი უკან უნდა დავბრუნდე.“

„უსახლკარობით დამემუქრნენ,“ მიუგო კუნომ.

ახლადა შეხედა ვაჟს.

„უსახლკარობით დამემუქრნენ. ასეთ რამეს მანქანით ვერ გეტყობი.“

უსახლკარობა სიკვდილს ნიშნავს. მსხვერპლს ჰაერზე უშვებენ, რაც ადამიანს კლავს.

„ჩვენი ბოლო საუბრის შემდეგ, გარეთ ვიყავი. ცუდი რამ უკვე მოხდა და აღმომაჩინეს.“

„მერე რა, რომ გარეთ იყავი?“ შეჰყვირა ვაშტიმ, „დედამინის ზედაპირზე ასვლა კანონით დაშვებული და სრულებით მექანიკურია. ამასწინათ, მეც დავესწარი ზღვაზე გამართულ ლექციას. ამას ვერავინ დაგიშლის. მხოლოდ აირწინალი უნდა მოიხმომო და გასვლის ნებართვა აიღო. სულიერებისაკენ მიდრეკილი ადამიანები ასე არ იქცევიან და მეც გევედრე, არ წასულიყავი, მაგრამ ამაში უკანონო არაფერია.“

„გასვლის ნებართვა არ ამიღია.“

„აბა, როგორ ახვედი?“

„მე თვითონ ვიპოვე გასასვლელი.“

ეს სიტყვები ვაშტისთვის არაფერს ნიშნავდა და კუნომ კვლავ გაუმეორა.

„შენ თვითონ?“ დაიჩურჩულა ქალმა. „ეგ ხომ არ შეიძლება.“

„რატომ?“

ამ შეკითხვამ ვაშტი უაღრესად გააოგნა.

„მანქანის თაყვანისცემა დაგინყია“, უთხრა შვილმა ცივად. „გზა რადგან თავად ვიპოვე, უღვთო გგონივარ. კომიტეტმაც სწორედ ასე იფიქრა, უსახლოკარობით რომ დამემუქრნენ.“

ამან ვაშტი გააბრაზა. „არაფერსაც არ ვეთაყვანები!“ გააპროტესტა, „ძალიან პროგრესული ვარ. უღვთო არ მგონიხარ, რადგან რელიგია საერთოდ აღარ არსებობს. წარსულის ყოველი შიში და ცრურწმენა მანქანამ გაანადგურა. მხოლოდ გზის შენით პოვნა ჩავთვალე... ჯერ ერთი, ამგვარი გასასვლელები არც არსებობს.“

„ასე ამბობენ.“

„ვომიტორიუმების გარდა, იქ შესასვლელად კი გასვლის ნებართვაა საჭირო და უკან გამობრუნებაც შეუძლებელია. წიგნში ასე წერია.“

„მაშ, წიგნი ცდება, რადგან ჩემი ფეხით გამოვბრუნდი უკან.“

კუნო ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო.

იმ დროში ფიზიკური ძლიერება დეფექტად ითვლებოდა. დაბადებისას ყოველ ახალშობილს სინჯავდნენ და რომელიმე თუ მეტისმეტი ძლიერების პოტენციალს გამოავლენდა, ანადგურებდნენ. ალბათ, ჰუმანისტებს ეს აღაშფოთებთ, თუმცა, განა ჭეშმარიტი სიკეთე იქნებოდა ათლეტისათვის სიცოცხლის მინიჭება? მანქანისეულ ყოფაში ბედნიერი ხომ ვერასოდეს იქნებოდა. საძრომიალოდ ხეები მოსწყურდებოდა, განსაბანად მდინარეები, მდელოები და გორაკები კი სხეულის მოსასინჯად. განა ადამიანი თავის გარემოს არ უნდა იყოს მორგებული? ჩვენი სამყაროს გარიჟრაჟზე სუსტები ტაიგეტის მთაზე უნდა დავტოვოთ³, მიმწუხრის ჟამს კი ძლიერები უმტკივნეულოდ მიიცვლებიან, რათა მანქანა განვითარდეს, განვითარდეს და განვითარდეს სამარადისოდ.

„ხომ იცი, რომ სივრცის აღქმა დაკარგული გვაქვს. ვამბობთ, სივრცე აღარ არსებობსო, თუმცა თავად სივრცე კი არა, მისი აღქმა გავანადგურეთ. ჩვენივე თავის ნაწილი დავკარგეთ. მიზნად დავისახე, აღმედგინა იგი და ჩემი ოთახის წინა რკინიგზის პლატფორმაზე წინ და უკან დავინყე სიარული. დავდიოდი, სანამ არ დავიღალე და ჩემში „ახლოსა“ და „შორის“ მნიშვნელობა აღდგა. „ახლო“ ისაა, სადაც ჩემი ფეხით შემიძლია სწრაფად მივიდე, ის კი არა, სადაც მატარებელი ან დირიჟაბლი მალე მიმიყვანს. „შორი“ კი ის ადგილია, სადაც ჩემი ფეხით სწრაფად ვერ მივალ. ვომიტორიუმი შორია, მიუხედავად იმისა, რომ მატარებელს თუ მოვიხმობ, იქამდე მისასვლელად ოცდათვრამეტი წამი დამჭირდება. ადამიანი საწყაულია. პირველი ეს ვისწავლე. მისი

³ ტაიგეტის მთაზე სპარტელები ტოვებდნენ ახალშობილებს, რომლებსაც სუსტად ჩათვლიდნენ.

ფეხები მანძილს ზომავენ, ხელები საკუთრებას, მისი სხეული კი იმას, რაც საამო, სასურველი და მძლავრია. მერე უფრო შორს წავედი. მაშინ იყო, პირველად რომ დაგირეკე და არ მოხვედი.

თავადაც იცი, რომ ქალაქი დედამიწის სიღრმეშია ჩაშენებული, ზედაპირზე მხოლოდ ვომიტორიუმებია. ჩემი ოთახის წინ მდგარ პლატფორმაზე რომ ვიარე, ლიფტით შემდეგ პლატფორმაზე ავედი, იქაც ვიარე წინ და უკან და ასე, სანამ ყველაზე ყველაზე მაღალს არ მივაღებე, რომლის თავზეც დედამიწის ზედაპირია. ყველა პლატფორმა ზუსტად ერთნაირი იყო და მათზე სიარულით მხოლოდ სივრცისა და ჩემი კუნთების აღქმა გავიჩინე. იქნებ, ამას უნდა დავჯერებოდე, უმნიშვნელო რამ ხომ არაა, თუმცა რომ დავდიოდე და ვფიქრობდი, თავში აზრად გამიელვა, რომ ჩვენი ქალაქები იმ დროს აშენდა, როცა ადამიანები ჯერაც გარე ჰაერს სუნთქავდნენ, ამიტომაც მინისქვეშ მუშებისათვის სავენტილაციო შახტები არსებობდა. ამის გარდა ველარაფერზე ვფიქრობდი. ნუთუ, *მანქანის* მიერ ბოლო დროს შექმნილმა საკვებმა, სამედიცინო და მუსიკალურმა მიღებმა გაანადგურეს? იქნებ მათი კვალი მაინც ყოფილიყო შემორჩენილი? ერთი რამ ზუსტად ვიცოდი: სადმე თუ იქნებოდნენ, ყველაზე ზედა სართულზე გამავალ რკინიგზის გვირაბებში. სხვა ყველგან სივრცე სრულად იყო ათვისებული.

ჩემს ამბავს სწრაფად გიყვები, თუმცა ნუ იფიქრებ, რომ არ მეშინოდა, ან შენი პასუხები არ მთრგუნავდა. ეს არასწორია, არამექანიკურია, რკინიგზის გვირაბში სიარული არ შეიძლება... ის კი არ მაშინებდა, რომ კონტაქტურ რელსს დავაბიჯებდი და მოგკვდებოდი. არახელშესახები რამ მზარავდა - *მანქანის* მიერ დაუშვებელი რამის გაკეთება. ბოლოს, ჩემს თავს ვუთხარი, ადამიანი სანყაულია მეთქი და წავედი. ბევრი მცდელობის შემდეგ, შესასვლელი ვიპოვე.

გვირაბები, ცხადია, განათებული იყო. ყველგან შუქია, ხელოვნური შუქი, თავად ბნელის გარდა. ამიტომაც ფილებს შუა რომ ბნელი ღრიჭო დავინახე, მივხვდი, გამონაკლისი ვიპოვე და ძალიან გამიხარდა. თავიდან მხოლოდ მხარი შემეტია შიგ, შევყავი და აღტყინებული ვაქნევდი აქეთ-იქით. მერე მეორე ფილაც მოვარყე, თავი შევყავი და ბნელს გავყვირე, მოვდივარ, აი, ახლა მოვალ მეთქი. ჩემი ხმა დერეფნების უსასრულობაში ექოდ დაირხა. თითქოს, იმ მკვდარი მუშების სულებისა მესმოდა, ყოველ საღამოს რომ ვარსკვლავების შუქსა და თავიანთ ცოლებს უბრუნდებოდნენ, თითქოს ღია ცის ქვეშ მცხოვრები ყოველი თაობის ხმა მეპასუხებოდა: აი, ახლა მოხვალ, მოდიხარო.“

შეჩერდა. მისმა სიტყვებმა, რაც არ უნდა აბსურდული ყოფილიყვნენ, ვაშტიზე იმოქმედეს. კუნომ ბოლო ხანებში მამობა ითხოვა, თუმცა მისი მოთხოვნა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა. მანქანას მისნაირების გამრავლება მაინც და მაინც არ ენადა.

„მერე მატარებელმა ჩაიარა. გვერდზე ჩამიქროლა, თუმცა თავი და ხელები მაინც გავყავი ნაპრალში. ერთი დღისათვის საკმარისი იყო, ამიტომაც უკან, პლატფორმისკენ გავხობდი, ლიფტით ქვემოთ ჩავედი და საწოლს მოვუხმე. ო, რა სიზმრები მესიზმრა! მერე ისევ დაგირეკე და შენ კვლავაც იუარე მოსვლა.“

ვაშტიმ თავი გააქნია და უთხრა:

„არა. ამ საშინელებებზე ნუ მიყვები. თავს საშინლად ვგრძნობ. მთელ ცივილიზაციას უარჰყოფ.“

„სივრცის აღქმა დავიბრუნე, ამ დროს კი ადამიანი ვეღარ ისვენებს. მტკიცედ გავიმიზნე, ნაპრალში შეძრომა და შახტში ასვლა. ამიტომაც, მხრების გავარჯიშებას შევუდექი. დღიდან დღემდე, ტანის ატკივებამდე ვაკეთებდი სულელურ მოძრაობებს. უკვე შემეძლო, ხელებით ჩამოვკიდებულიყავი და საწოლზე გაჭიმულს ბალიში მრავალი წუთი მჭეროდა. მერე, აირწინალი მოვიხმე და საქმეს შევუდექი.“

თავიდან მარტივი იყო. დუღაბი მომპალიყო, რამდენიმე ფილა კიდეც მოვარყიე და ვცდილობდი, მათ ადგილას გავმძვრალიყავი. მკვდართა სულები მანუგეშებდნენ. არ ვიცი, ამაში რას ვგულისხმობ. იმას აღვწერ, რასაც განვიცდიდი. პირველად ვგრძნობდი, რომ ხრწნის წინააღმდეგ ამბოხი არსებობდა და თუკი მე მკვდართა სულები მედგნენ მხარში, თავად ჯერ კიდეც არშობილებზე ვზრუნავდი. ვგრძნობდი, რომ არსებობდა კაცობრიობა და არსებობდა უტანსაცმლოდ. ეს როგორღა ავხსნა? შიშველი იყო ადამიანთა მოდგმა, შიშველი მეჩვენებოდა და მთელი ეს მიღები, ღილაკები და მანქანებები არც ჩვენთან ერთად მოდიოდნენ სამყაროში, არც მისგან წასვლისას გვდევენდნენ თან და არც ჩვენი აქ ყოფნისას იყვნენ ასეთი მნიშვნელოვნები. ძლიერი რომ ვყოფილიყავი, სამოსს შემოვიგლეჯდი და გარე ჰაერზე შეუბოჭავი გავაბიჯებდი. თუმცა, ვერ შევძელი, იქნებ ჩემს თაობას ეს არ ძალუძს. ჩემი აირწინალითა და დიეტური ტაბლეტებით, ჰიგიენური ტანსაცმლით შემოსილი შევძვერი შიგნით. არაფერს ხომ სჯობდა.

იქ რომელიღაც პირველყოფილური მეტალის კიბე დამხვდა. რკინიგზის შუქი მის ქვედა საფეხურებს ანათებდა და დავინახე, რომ ნანგრევებიდან პირდაპირ ზემოთ, შახტში ადიოდა. იქნებ, ჩვენი წინაპრები თავიანთი საქმიანობისას მასზე დღეში მრავალჯერ ადი-ჩადიოდნენ. აძრომა რომ დავინყე, უხეშმა კიდეებმა ხელთათმანები გამიხეხა და ხელები

დამისისხლიანა. შუქი ცოტათი მიადვილებდა საქმეს, მერე კი ბნელში აღმოვჩნდი და ყოველზე საშინელ მდუმარებაში, რომლებიც ხმალივით მიპობდა ყურებს. *მანქანა* ზუზუნებს! იცოდი? ჩვენი სისხლი მისი ზუზუნითაა გაჟღენთილი და მგონი, ფიქრები, მისით მართული. ვინ უწყის! მის ძლევამოსილებას ვცილდებოდი. თავში გამიელვა, რომ სიჩუმე იმას ნიშნავდა, მცდარ რამეს ჩავდიოდი. მერე კი მდუმარებაში ხმები მომესმა და მათ კვლავაც გამაძლიერეს”, კუნოს გაეცინა. „მჭირდებოდნენ. იმავე წამს თავი რაღაცას მივარტყი.“

ვაშტიმ ამოიოხრა.

„პნევმატურ საცობს მივდგომოდი. ისეთს, გარე ჰაერისგან რომ გვიცავს. შეიძლება, მათთვის დირიჟაბლიდან მოგეკრა თვალი. სრულ უკუნში ფეხები უხილავი კიბის საფეხურზე მედგა, ხელები კი დამსეროდა. ვერ ვხსნი, ამას როგორ გადავურჩი, მაგრამ კვლავაც მამშვიდებდნენ ხმები და სამაგრების ძებნა დავინწყე. საცობი, დაახლოებით, რვა ფუტის⁴ მანძილზე იყო დამაგრებული. ხელი რაც შეიძლებოდა შორს გავიწვინე. სრულიად გლუვი იყო. თითქმის შევეხე მის შუა ნაწილს, თუმცა, არც მთლად, მკლავს ვერ ვანვდენდი. ხმამ ჩამძახა: გადახტი, ეს ამაღ ღირს. შუაში, შეიძლება, სახელური იყოს, შეგიძლია, მოეჭიდო და ასე შენებურად მოხვიდე ჩვენამდე. თუ სახელური არ დაგხვდა, შეიძლება, ჩამოვარდე და დაიშრე. მაინც ღირს: ჩვენამდე მაინც მოხვალ შენებურად. გადავხტი. სახელური დამხვდა და...“

შეჩერდა. დედას თვალები აუცრემლიანდა. იცოდა, დაწერილი იყო შვილის ბედი. დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოკვდებოდა. ასეთი ადამიანის ადგილი ამ სამყაროში არ იყო. მის სიბრალულს ზიზღი შეერწყა. რცხვენოდა, ასეთი ვაჟი რომ შობა, მან, ვინც ყოველთვის ასეთი პატივსაცემი და აზრებით სავსე გახლდათ. განა ნამდვილად ის პატარა ბიჭი იყო, ღილაკებისა და ჩამრთველების გამოყენება რომ ასწავლა და *წიგნიდან* პირველი გაკვეთილები ჩაუტარა? ის ღინღლიც კი, ბაგეებს რომ უშნოებდა, თითქოს მიანიშნებდა, როგორ იქცეოდა რომელიღაც უწინდელ ველურად. ატავიზმს კი *მანქანა* ვერ დაინდობდა.

„სახელური დამხვდა და მართლაც მოვეჭიდე. ნახევრად უგონოდ ვეკიდე ბნელში და ზუზუნი კვდომის ზმანებაში უკანასკნელი ჩაჩურჩულებასავით მომესმოდა. ყველაფერი, რაც ადრე მადარდებდა და ხალხი, ვისაც მილებით ველაპარაკებოდი, უსაზღვროდ უმნიშვნელო მოჩანდა. ამასობაში, სახელური დატრიალდა. ჩემს წონას რაღაც აემუშავებინა და მეც ნელა ვბრუნავდი. მერე კი...“

⁴ დაახლ. 2.4 მეტრი

ვერ აღვწერ. ვინეჯი და სახეში მზე მანათებდა. ცხვირიდან და ყურებიდან სისხლი მომდიოდა და საშინელი გუგუნი ჩამესმოდა. საცობი, რომელზეც ვეკიდე, მიწის სიღრმიდან ამოვარდნილიყო, აქაური ჰაერი ხვრელიდან ამოდიოდა და გარე ჰაერს ერწყმოდა. შადრევანივით ფეთქავდა. უკან გავცოცდი, რადგან გარე ჰაერი გტკენს და კიდესთან რამდენჯერმე ღრმად ჩავისუნთქე. ჩემი აირწინალი, ღმერთმა იცის, სად გადავარდნილიყო, ტანსაცმელი კი დამეგლიჯა. ხვრელთან ვინეჯი და იქამდე ვისრუტავდი აქაურ ჰაერს, სანამ სისხლდენა არ შემიწყდა. ასეთ უცნაურს ვერაფერს წარმოიდგენ. ეს ხევი ბალახში, ამაზეც მოგიყვები, როგორ ივსებოდა მზის შუქით, თვალისმომჭრელად კი არა, მარმარილოსავით თეთრი ღრუბლების გავლით, ეს სიმშვიდე, სიწყნარე, სივრცის შეგრძნება, ხელოვნური ჰაერის თქრიალა ჭავლი, ლოყაზე რომ მენანავებოდა! ცოტა ხანში ჩემი აირწინალი შევნიშნე, თურმე, აღმავალი ჰაერის ნაკადზე ტივტივებდა ზემოთ-ქვემოთ, მის თავზე კი ისევ მოჩანდნენ დირიჟაბლები. დირიჟაბლიდან ქვემოთ არავინ იყურება ხოლმე, ამიტომ იქიდან ვერავინ დამეხმარებოდა. ასე უმწეოდ ვეგდე. მზემ ოდნავ გაანათა შახტი და კიბის ზედა საფეხური დავინახე, თუმცა იქამდე მიღწევის იმედი არ მქონდა. მჟონავი ნაკადი ან ისევ ზემოთ ამტყორცნიდა, ან ჩავვარდებოდი და მოვკვდებოდი. მხოლოდ ის შემეძლო, ბალახზე ვწოლილიყავი, ჰაერი ნელ-ნელა მესრუტა და დროდადრო იქაურობისთვის შემეველო თვალი.

ვიცოდი, უესექსში ვიყავი, რადგან საქმის წამოწყებამდე უესექსზე დავესწარი ლექციას. ამ ოთახის თავზეც უესექსია. ერთ დროს მნიშვნელოვანი სამეფო იყო. უსექსის მეფეებს ხელთ მთელი სამხრეთ სანაპირო ეპყრათ, ანდრედსუოლდიდან კორნუოლამდე, ჩრდილოეთიდან კი უენსდაიკი იცავდათ, მაღლობს რომ გასდევდა. ლექტორმა მხოლოდ უესექსის აღზევებაზე ისაუბრა, ამიტომ, არ ვიცი, რამდენ ხანს ეპყრა სამეფოს საერთაშორისო ძალაუფლება და ამის ცოდნა ვერც ვერაფერში დამეხმარებოდა. სიმართლე გითხრა, ამ დროს მხოლოდ მეცინებოდა. პნევმატური საცობის გვერდზე ვეგდე, თავზე კი აირწინალი დამლივლივებდა. სამივენი ტყვედ ჩავვარდნილიყავით ამ ხევს, შიგ რომ ბალახი ეზრდებოდა, გვერდებზე კი გვიმრა.“

კუნო ისევ დადინჯდა.

გამიმართლა, ხევში რომ ჩავვარდი. ჰაერი მასში უკან ჩაედინა და ისე აივსო, როგორც ჯამი წყლით. ცოცვა შევძელი და მალევე წამოვდექი. ნარევს ვსუნთქავდი და გვერდებზე აძრომას რომ ვცდილობდი, მასში მტკივნეული ჰაერი ჭარბობდა. ამას არა უშავდა. ვცდილობდი, ტაბლეტები არ დამეკარგა და აბსურდული სიხალისე შემენარჩუნებინა,

მიზნებისაკენ არა. იმ სისხლის უჭრედებადლა ვარსებობთ, მის არტერიებში რომ მიედინება და ჩვენ გარეშე რომ შეეძლოს არსებობა, არც კი გვაცოცხლებდა. ო, არც წამალი მაქვს, გარდა იმისა, ადამიანებს მრავალჯერ მოვუთხრო, რომ უესექსის ის გორაკები ვნახე, ალფრედ დიდი რომ დანიელების დამარცხებისას გაჰყურებდა.

მზე ჩავიდა. იმის ხსენება დამავიწყდა, რომ ჩემს გორაკსა და სხვა გორაკებს შორის სადაფისფერი ნისლის ზოლი განოლილიყო.“

კვლავაც შეწყვიტა ლაპარაკი.

„განაგრძე“, უთხრა მოქანცულმა დედამ.

კუნომ თავი გააქნია.

„განაგრძე. რაც არ უნდა მითხრა, ველარაფერი შემანუხებს. უკვე გავკაჟდი.“

„მინდოდა, დანარჩენიც მომეყოლა, მაგრამ არ შემიძლია. ვიცი, რომ ასეა. ნახვამდის.“

ვაშტი ყოყმანებდა. ყველა ნერვს უწინკნიდა შვილის მკრეხელობა, თუმცა თავადაც ცნობისმოყვარე გახლდათ.

„რა უსამართლობაა“, შესჩივლა ვაჟს. „სამყაროს ერთი ბოლოდან მეორეში მომიყვანე, შენი ამბავი რომ მომესმინა და მოგისმენ კიდევ. მითხარი, რაც შეიძლება მოკლედ, როგორ დაუბრუნდი ცივილიზაციას, რადგან საშინლად ბევრ დროს ვკარგავთ.“

„ა, ეგ!“ დაიწყო მან. „ცივილიზაციაზე გინდა, მოგიყვე. აუცილებლად. ის უკვე გითხარი, ჩემი აირწინალი რომ ძირს ჩამოვარდა?“

„არა, თუმცა ყველაფერი გასაგებია. აირწინალი გაიკეთე და დედამინის ზედაპირზე იქამდე იარე, სანამ ვომიტორიუმს არ მიაღებე. მერე კი ცენტრალურმა კომიტეტმა შენი საქციელის შესახებ შეიტყო.“

„არაფერიც.“

ხელი ისე მოისვა შუბლზე, თითქოს რამე ძლიერი შთაბეჭდილების გაქარწყლებას ცდილობდა. თხრობა რომ განაგრძო, ისევ დაუბრუნდა კეთილგანწყობა.

„აირწინალი მზის ჩასვლისას დავიბრუნე. ხომ ვახსენე, რომ ჰაერის ქავლი შესუსტდა?“

„კი.“

„მზის ჩასვლისას კი აირწინალი უკან ჩამოაგდო. როგორც გითხარი, მანქანა საერთოდ აღარ მახსოვდა და სხვა რამეებზე გადართული, არც დროს ვაქცევდი ყურადღებას. ჩვენი ჰაერის გუბე მქონდა და მაშინ ვისრუტავდი, გარე ჰაერის სიმწვავეს რომ ვეღარ ვუძლებდი.“

გუბე რამდენიმე დღე მაინც გაძლებდა, ქარი თუ არ ამოვარდებოდა და მიმოფანტავდა. უკვე გვიანი იყო, როცა მივხვდი, ჟონვის შეწყვეტა რასაც ნიშნავდა. ხვდები? გვირაბში გაჩენილი ნაპრალი ივსებოდა. თვითაღმდგენი მექანიზმი. თვითაღმდგენი მექანიზმი მერჩოდა.

ამის სხვა ნიშანიც მომეცა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე. ცა ღამით უფრო მოწმენდილი იყო, ვიდრე დღისით და მთვარე, მზეზე ორჯერ შორს რომ ეკიდა ჰორიზონტზე, ღრმულს ზოგჯერ მკაფიოდ ანათებდა. იქ ვიყავი, სადაც უნინ, ორ ატმოსფეროს შუა, როცა, თითქოს, დავინახე, როგორ გამოძრავდა რაღაც ღრმულის ზედაპირზე და შახტში გაუჩინარდა. მე სულელი, ძირს განვერთხე, მოვიკუნტე, ყური მივუგდე და სიღრმეში სუსტი ხრჭიალი მომესმა.

ამან ამაღელვა, თუმცა უკვე გვიანი იყო. მტკიცედ დავისახე, აირწინალი მომერგო და ღრმულიდან ამოვსულიყავი. აირწინალი აღარსად ჩანდა. ზუსტად ვიცოდი, რომ საცობსა და ნაპრალს შორის ჩავარდნილიყო და ის ნაკვალევიც კი მოვსინჯე, კორდისათვის რომ დაემჩნია. გამქრალიყო. მივხვდი, ჩემ წინააღმდეგ რაღაც ბოროტი მოქმედებდა და მეორე ჰაერამდე უნდა მიმეღწია. თუ მოვკვდებოდი, სადაფისფერი ღრუბლისაკენ გაქცეული მაინც მოვკვდებოდი. ვერ შევძელი. შახტიდან... რა საშინელებაა. ჭია, გრძელი თეთრი ჭია ამომძვრალიყო და მთვარით განათებულ ბალახზე მდორედ მისრიალებდა.

ავყვირდი. ყველაფერი გავაკეთე, რაც არ უნდა მექნა. გაქცევის ნაცვლად ვცდილობდი, ფეხით გამეთელა და ისიც ერთიანად დამეხვია კოჭზე. ვიბრძოლეთ. მთელი ღრმული შემოვირბინე, ჭია კი ნელ-ნელა ეხვეოდა ჩემს ფეხს. მიშველეთ მეთქი, ვყვიროდი (ეს ამბის მეტისმეტად საშინელი ნაწილია. ამ ნაწილზე ვერასდროს მოგიყვები). მიშველეთ მეთქი, ვღრიალებდი (რატომ უჩუმრად ტანჯვა არ შეგვიძლია?). მიშველეთ მეთქი, ვტიროდი. მერე ფეხები შემეკრა და დავეცი. მშვენიერი გვიმრებისა და ცოცხალი გორაკებისაგან შორს მიმართვედნენ და მეტალის უზარმაზარ საცობსაც გავცდი (ამაზე კი შემიძლია, მოგიყვე) და ვიფიქრე, იქნებ, კვლავ სახელურს მოჭიდებას გადავერჩინე. ესეც დაეფარათ, როგორც ყოველივე სხვა. მთელი ნაპრალი სავსე იყო. ყველა მიმართულებით ჩხრეკდნენ, ყველაფერს წმენდდნენ და ხვრელიდან სხვების თეთრი დრუნჩებიც იჭვრიტებოდნენ, მზადყოფნაში. ყველაფერი, რაც დაძრეს, თან წამოიღეს: ხის ტოტები, გვიმრის გროვები, ყველაფერი. ერთმანეთს გადახლართულები ჩავეშვით ძირს, ჯოჯოხეთში. საცობის დახურვამდე ბოლო რაც დავინახე, რამდენიმე ვარსკვლავი იყო და ვიგრძენი, რომ ცაში ჩემნაირი ადამიანი ცხოვრობდა. ვიბრძოლე, ბოლომდე ვიბრძოლე, მხოლოდ კიბეზე თავის მირტყმამ გამთიშა. ამ ოთახში გამომელვძიდა. ჭიები

გამქრალიყვნენ. ხელოვნური ჰაერით, შუქითა და სიმშვიდით ვიყავი გარშემორტყმული. ჩემი მეგობრები კი სასაუბრო მიღებით მირეკავდნენ, რომ გაეგოთ, ბოლო დროს რამე ახალი აზრი ხომ არ გამჩენია.“

კუნოს ამბავი აქ დასრულდა. ამაზე საუბარი შეუძლებელი იყო და ვაშტი წასასვლელად შეტრიალდა.

„ყოველივე უსახლკარობით დასრულდება,“ ჩუმად თქვა.

„ვნატრობ, ასე იყოს,“ მკვახედ მიუგო კუნომ.

„მანქანაშ დიდი მონყალეა გამოიჩინა.“

„ღვთის მონყალეა მიჯობს.“

„მაგ ცრუმორწმუნე ფრაზით იმას გულისხმობ, რომ გარე ჰაერზე ცხოვრებას შეძლებდი?“

„კი.“

„ვომიტორიუმების გარშემო ოდესმე გინახავს იმათი ძვლები, ვინც დიდი ამბოხების შემდეგ განიდევნა?“

„კი.“

„იქ დარჩნენ, სადაც ჩვენს დასამოძღვრად დაიღუპნენ. ზოგი უფრო შორს გახობდა, მაგრამ განა ვის ეპარება ეჭვი, რომ ისინიც დაიღუპნენ? ჩვენი დროის უსახლკაროებსაც ასე მოუვათ. დედამინის ზედაპირზე გადარჩენა შეუძლებელია.“

„ასეა.“

„გვიმრა და ბალახბულახი, შეიძლება, ძლებს, მაგრამ სიცოცხლის სხვა ყველა ფორმა გამქრალია. რომელიმე დირიჟაბლს თუ შეუმჩნევია რაიმე?“

„არა.“

„რომელიმე ლექტორს თუ აღმოუჩენია?“

„არა.“

„აბა, რატომ ჯიუტობ?“

„რადგან თავად მინახავს“, აფეთქდა კუნო.

„რა გინახავს?“

„რადგან ბინდში ვიხილე იგი. ჩემს დასახმარებლად მოვიდა, როცა ვყვიროდი, რადგან ისიც შებოჭეს ქიებმა და ის, ჩემზე იღბლიანი, ერთ-ერთმა მოკლა, ყელი გაუხვრიტა.“

გაგიჟებულიყო. ვაშტი გაემგზავრა და აღარც მომავალში უნახავს კუნო, როცა ყველაფერი აირია.

3. უსახლკარო

კუნოს ამ თავგადასავლის მომდევნო წლებში, *მანქანაში* ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ისინი, ერთი შეხედვით, რევოლუციური იყო, თუმცა ადამიანთა გონება მათთვის წინასწარ იყო შემზადებული და ამით მხოლოდ ის მიდრეკილებები გამომჟღავნდა, რაც ფარულად უკვე არსებობდა.

პირველი აირწინაღების გაუქმება გახლდათ.

პროგრესულად მოაზროვნეებს, ვაშტის ჩათვლით, დედამიწის ზედაპირზე ასვლა ყოველთვის უგუნურებად მიაჩნდათ. დირიჟაბლები, ალბათ, კვლავაც საჭირო იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობის გამო იქ ასვლასა და მინისზედა მოტორიკით ერთ-ორი მილზე⁵ ხოხვაში განა, რა ეყარა? ეს ვულგარული და, ცოტა არ იყოს, უნესო ჩვეულება იყო, არც აზრებს შობდა და არც ნამდვილად მნიშვნელოვან ჩვეულებებთან აკავშირებდა რამე. ამიტომაც გააუქმეს აირწინაღები, მათთან ერთად, ცხადია, მინისზედა მოტორიკაც და ეს ცვლილება ყველამ უჩუმრად მიიღო, იმ რამდენიმე ლექტორის გარდა, რომლებიც თავიანთ საკვლევ ობიექტებზე წვდომის შეწყვეტის გამო ჩიოდნენ. ვისაც აინტერესებდა, დედამიწა როგორი იყო, შეეძლო, გრამოფონისთვის მოესმინა, ან კინემატოფოტში ჩაეხედა. ლექტორებიც კი უჩუმრად დასჯერდნენ ამ სიახლეს, როცა მიხვდნენ, რომ ზღვაზე ჩატარებული ლექცია მაინც საინტერესო იყო, თუკი ამ თემაზე უკვე ჩატარებულ ლექციებზე დაყრდნობით იყო შედგენილი. „ერიდეთ პირველად აზრებს!“, გამოაცხადა ერთმა ყველაზე პროგრესულმა. „პირველადი აზრები სინამდვილეში არც კი არსებობენ. ისინი მხოლოდ სიყვარულისა და შიშის საფუძველზე შობილი ფიზიკური შთაბეჭდილებებია. როგორ შეიძლება, ასეთი ბილწი საძირკვლიდან ფილოსოფია აღმოცენდეს? დაე, მეორეული იყოს თქვენი აზრები და თუკი შესაძლებელია, მეათეული, რადგან მხოლოდ ასე განიძარცვებიან მაგ წყეული ნიშნის, უშუალო დაკვირვებისაგან. ჩემი ინტერესის საკითხზე, საფრანგეთის რევოლუციაზე, ნურაფერს შეისწავლით. ამის ნაცვლად ის შეიტყვეთ, რას ვფიქრობ იმაზე, თუ რას ფიქრობდა ენიქარმონი იმაზე, თუ რას ფიქრობდა ურიზენი იმაზე, თუ რას ფიქრობდა გუტრი იმაზე, თუ რას ფიქრობდა ჰო-იანი იმაზე, თუ რას ფიქრობდა ში-ბო-ზინი იმაზე, თუ რას ფიქრობდა ლავკადიო ჰერნი იმაზე, თუ რას ფიქრობდა კარლაილი იმაზე, თუ რას ამბობდა მირაბო საფრანგეთის რევოლუციაზე. ამ

⁵ ერთი მილი დაახლ. 1.6 კილომეტრია

ათი დიდებული მოაზროვნის გავლით, პარიზში დაღვრილი სისხლი და ვერსალში დამსხვრეული ფანჯრები იმ აზრებად დაინმინდება, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში შეიძლება, გამოგადგეთ. ყურადღებით იყავით, რომ მრავალი და სხვადასხვაგვარი შუამავალი შეარჩიოთ, რადგან ისტორიაში ერთი ავტორიტეტი მეორეს მხოლოდ ეწინააღმდეგება. ურიზენი ჰო-იანისა და ენიქარმონის სკეპტიციზმს უნდა ანეიტრალეზდეს, თავად მე კი გუტჩის სიფიცხეს. თქვენ, ჩემო მსმენელებო, საფრანგეთის რევოლუციის ჩემზე უკეთ შეფასება შეგიძლიათ. თქვენს შთამომავლებს კი თქვენზე უკეთ შეეძლებათ, რადგან იმასაც გაიგებენ, რას ფიქრობთ ჩემს ნაფიქრალზე და ჯაჭვს კიდევ ერთი შუამავალი მიემატება”, ხმა აიმაღლა, „ისეთი თაობა იარსებებს, ფაქტებსა და შთაბეჭდილებებს რომ გასცდება, სრულად უფერული თაობა, თაობა, რომელიც

„პიროვნულობის მანკისგან
სერაფიმივით სუფთაა”,

და საფრანგეთის რევოლუციას იმგვარად კი არ აღიქვამს, როგორც მოხდა, ან ისე, როგორც უნდოდათ, მომხდარიყო, არამედ ისე, თუ როგორ მოხდებოდა, *მანქანის* დროებაში რომ მომხდარიყო.“

ამ ლექციას გამაყრუებელი ტაში ხვდა, რომელიც ადამიანთა გონებაში უკვე ფეხმოკიდებულ გრძნობას აჟღერებდა, გრძნობას, რომ მიწიერი ფაქტები უგულებელყოფილი უნდა იქნას, აირწინაღების გაუქმება კი დადებითი მონაპოვარი გახლავთ. ისიც კი გაჟღერდა, დირიჟაბლებიც გავაუქმოთო. ეს არ მომხდარა, რადგან დირიჟაბლები რაღაც გზებით შერწყმულიყვნენ *მანქანის* სისტემას, თუმცა წლებთან ერთად, სულ უფრო ნაკლებად გამოიყენებოდნენ და აზრიანი ადამიანები თითქმის აღარ ახსენებდნენ მათ.

მეორე დიდი ცვლილება რელიგიის აღდგენა იყო.

ზემოთხსენებულ ლექციაზე ეს საკითხიც ხსენდა. ვინ აუვლიდა გვერდს იმ მოკრძალებულ ტონს, ამ სიტყვაში რომ ჟღერდა და თითოეული ადამიანის გულში საპასუხო გამოძახილს აღძრავდა? აქამდე ჩუმიად თაყვანისმცემლებმა ხმა აიმაღლეს. სიმშვიდის იმ უჩვეულო განცდას აღწერდნენ, *მანქანის წიგნის* ფურცლისას რომ ეუფლებოდათ, იმ სიამოვნებას, მასში ნახსენებ გარე ყურისათვის თუნდაც უმნიშვნელო ამა თუ იმ ციფრთა გაჟღერებას რომ სდევდა თან, თუნდაც უმნიშვნელო ღილაკზე დაჭერით, ანდაც ელექტრონული ზარის თუნდაც უმნიშვნელო რეკვით მოგვრილ ექსტაზს.

„მანქანა,“ ერთხმად აცხადებდნენ ისინი, „გვმოსავს, გვკვებავს და გვაბინავებს. მისი მეშვეობით ვესაუბრებით და ვხედავთ ერთმანეთს, მასში ძევს ჩვენი ყოფა. მანქანა აზრების მეგობარი და ცრურწმენათა მტერია. მანქანა ყოვლისშემძლეა და მარადი. კურთხეულია მანქანა.“ სულ ცოტა ხანში, ეს შეგონება წიგნის პირველ ფურცელზე განთავსდა, მომდევნო გამოცემებში კი რიტუალი ხოტბისა და ლოცვის ჩახლართულ სისტემად გადაიქცა. სიტყვა „რელიგიის“ გამოყენებას გულმოდგინედ ერიდებოდნენ და, თეორიულად, მანქანა კვლავაც ადამიანის მიერ დანერგილ ქმნილებად ითვლებოდა, პრაქტიკაში კი მას, როგორც წმინდას, ყველა ეთაყვანებოდა, რამდენიმე უკულმართის გარდა. თაყვანისცემა არც ერთხმა გახლდათ. ზოგ მორწმუნეს ის ლურჯი ოპტიკური ფირფიტა აოცებდა განსაკუთრებით, რომელშიც სხვა მორწმუნეებს ხედავდა, ზოგს ის თვითაღმდგენი მექანიზმი, კუნომ რომ ჭიებს შეადარა, ზოგს ლიფტები აცვიფრებდა, ზოგს კი წიგნი. ყველა სხვადასხვა რამეზე ლოცულობდა და მანქანის სისრულესთან შუამდგომლობას შესთხოვდა. ვიღაცებს დევნიდნენ კიდევ, თუმცა არა მასშტაბურად, თუ რატომ, მოგვიანებით შეიტყობთ. თუმცა, ფარულად ესეც ხდებოდა და მას, ვინც იმ მინიმუმს მაინც არ ეთანხმებოდა, „არასარწმუნოებრივი მექანიზმის“ სახელით რომ იყო ცნობილი, უსახლკარობა ემუქრებოდა, რაც, როგორც უკვე ვიცით, სიკვდილს უდრიდა.

ცენტრალური კომიტეტის ეს ორი ძირითადი განვითარება რომ შევაფასოთ, ცივილიზაციის საკმაოდ ვიწრო ჩარჩოებში მოქცეულ სურათს მივიღებთ. ცენტრალურმა კომიტეტმა ცვლილებები ნამდვილად გამოაცხადა, თუმცა ამის გამომწვევი იმდენად არ ყოფილა, რამდენადაც იმპერიალისტურ ეპოქაში თავად მეფეები არ იწვევდნენ ომებს. ისინი მხოლოდ იმ უდრეკ ზეწოლას დაემორჩილნენ, არავინ რომ უწყის, საიდან მოდის და დაკმაყოფილების შემთხვევაში, თანაბრად უდრეკი ზეწოლა მოაქვს. ხელსაყრელია ხოლმე, მოვლენათა ამგვარ განვითარებას პროგრესი ეწოდოს. არავინ ტყდებოდა, რომ მანქანა უმართავი გახდა. წლობით მუშაობდა გაზრდილი ეფექტურობითა და შემცირებული ინტელექტით. რაც უფრო უკეთ უწყობდა ადამიანმა მასზე დაშენებული მოვალეობანი, მით უფრო ნაკლებ ესმოდა მოყვასის მოვალეობებისა და აღარავინ მოიძებნოდა სამყაროში, ვინც ამ ურჩხულს სრულად იცნობდა. მოაზროვნენი მიინავლნენ. მართალია, ინსტრუქციები დატოვეს და მათი შთამომავლები ინსტრუქციათა ნაწილებს დაეუფლნენ, თუმცა, კომფორტის მაძიებელმა კაცობრიობამ საკუთარ თავს გადააჭარბა და ბუნების საუნჯე სრულიად ამოწურა. მდუმარე და თვითკმაყოფილი თანდათანობით იძირებოდა, პროგრესი კი მხოლოდ მანქანის პროგრესსდა ნიშნავდა.

ვაშტის ცხოვრება საბოლოო უბედურების ჩამოდგომამდე მშვიდად მიდიოდა. ოთახს აბნელებდა და იძინებდა, იღვიძებდა და ოთახს გაანათებდა ხოლმე. ლექციებს

კითხულობდა და ისმენდა. თავის ურიცხვ მეგობრებთან ცვლიდა აზრებს და სწამდა, რომ მისი ცხოვრება უფრო სულიერი ხდებოდა. ზოგჯერ, მის რომელიმე მეგობარს ევთანაზიის ნებას რთავდნენ და ისინი იმ უსახლკარობაში ინაცვლებდნენ, ადამიანის წარმოსახვას რომ სცდება. ვაშტის ეს მაინცდამაინც არ ადარდებდა. ზოგჯერ, წარუმატებელი ლექციის შემდეგ, თავადაც თხოულობდა ევთანაზიის უფლებას, თუმცა, არ შეიძლებოდა, სიკვდილიანობას შობადობისათვის გადაეჭარბებინა და *მანქანა* მოთხოვნას არ უკმაყოფილებდა.

არეულობა ჩუმიად დაინყო, კარგა ხნით ადრე, სანამ ვაშტი მიხვდებოდა.

ერთ დღესაც, განცვიფრებულმა თავისი ვაჟის გზავნილი აღმოაჩინა. ერთმანეთს არ ეხმიანებოდნენ, რადგან საერთო არაფერი ჰქონდათ და მხოლოდ შორიდან იცოდა, რომ კუნო კვლავაც ცოცხალი იყო და ჩრდილოეთ ჰემისფეროში გაეგზავნათ, სადაც ისე მავნებლურად მოქცეულიყო, რომ სამხრეთში გაემწესებინათ, მისიდან არცთუ მოშორებით მდებარე ოთახში.

„ის ხომ არ უნდა, ვენვიო?“, გაიფიქრა. „არა, აღარასოდეს. საამისო დრო არც მაქვს.“

არა, აქ სხვაგვარ შეშლილობას ჰქონდა ადგილი.

კუნომ ლურჯ ფირფიტაზე თავისი სახე არ გამოაჩინა და სიბნელიდან საზეიმოდ გამოაცხადა:

„*მანქანა* გაჩერდება.“

„რა თქვი?“

„*მანქანა* ჩერდება, ვიცი. ნიშნებს ვცნობ.“

ვაშტის სიცილი წასკდა. კუნომ გაიგონა და გაბრაზდა. აღარ ულაპარაკიათ.

„ასეთი აბსურდული რამ თუ გსმენია?“, უთხრა მეგობარს. „კაცს, რომელიც ჩემი შვილი იყო, სჯერა, რომ *მანქანა* გაჩერდება. უკეთურება იქნებოდა, გიჟი რომ არ იყოს.“

„*მანქანა* ჩერდება?“, უპასუხა მეგობარმა. „ეგ რას ნიშნავს? ეს ფრაზა არაფერს მეუბნება.“

„არც მე.“

„იმ ხარვეზს ხომ არ გულისხმობს, ბოლო დროს მუსიკას რომ აქვს?“

„ო, რა თქმა უნდა, არა. მოდი, მუსიკაზე ვილაპარაკოთ.“

„მმართველ ორგანოსთან დაირივლე?“

„ჰო, მითხრეს, რომ შეკეთება სჭირდება და თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტთან გადამამისამართეს. იმ უცნაურ სულშეხუთული ხვნიშის ხმებზე დავიჩივლე, ბრიზბენის სკოლის სიმფონიებს რომ დაჰყვება. თითქოს, ვიღაცას რამე სტკიოდეს. თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტმა გადმომიცა, რომ მალე გამოსწორდება.“

ბუნდოვნად დადარდიანებულმა განაგრძო ცხოვრება. ჯერ ერთი, მუსიკაში გაპარული ნაკლი აღიზიანებდა. და ვერც კუნოს ნათქვამს ივინყებდა. თუნდაც სცოდნოდა, რომ მუსიკას შეკეთება სჭირდებოდა და ეს ვერც ეცოდინებოდა, რადგან მუსიკა არ მოსწონდა, ალბათ, სწორედ იმას იტყოდა, მანქანა გაჩერდებაო. ეს ხომ მისთვის შესაფერისი გესლიანი კომენტარი იყო. რა თქმა უნდა, უბრალოდ წამოაყრანტალა, თუმცა ეს დამთხვევაც აღიზიანებდა და საკმაოდ გაბრაზებული ესაუბრა თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტს.

ისევ ის უპასუხეს, რომ დეფექტს მალე გამოასწორებდნენ.

„მალე!“, მკვახედ მიუგო. „დეფექტური მუსიკა რატომ უნდა მანუხებდეს? ყველაფერი ისე მალე გვარდება ხოლმე. თუკი ახლავე არ შეაკეთებთ, ცენტრალურ კომიტეტთან დავიჩივლებ.“

„ცენტრალური კომიტეტი პირად საჩივრებს არ იღებს“, უპასუხა თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტმა.

„აბა, ვისთან დავიჩივლო?“

„ჩვენთან.“

„მაშინ, საჩივარი შემომაქვს.“

„თქვენი საჩივარი რიგის მიხედვით გადამისამართდება.“

„სხვებმაც დაიჩივლეს?“

შეკითხვა არამექანიკური იყო და თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტმა არაფერი უპასუხა.

„რა საშინელებაა!“, გააპროტესტა სხვა მეგობართან. „ჩემსავით უიღბლო ქალი ამქვეყნად დადის. მუსიკის იმედი საერთოდ აღარ მაქვს. ყოველ მოხმობაზე სულ უფრო ფუჭდება.“

„პრობლემები მეც მაქვს“, უპასუხა მეგობარმა. „ზოგჯერ ჩემს აზრებში ჭრილის ხმები იჭრება.“

„რისი ხმებია?“

„არ ვიცი, ჩემს თავშია თუ კედლიდან მოდის.“

„საჩივარი მაინც შეიტანე.“

„დავიჩივლე და ჩემი საჩივარი ცენტრალურ კომიტეტთან რიგის მიხედვით გადამისამართდება.“

დრო გავიდა. დეფექტები აღარ აღიზიანებდათ. არაფერი გამოსწორებულა, თუმცა იმ დროში ადამიანური ქსოვილები ისეთი მორჩილი გამხდარიყვნენ, *მანქანის* ყოველ ხუშტურს ეგუებოდნენ. ბრიზბენის სიმფონიის გარდამტეხ ნოტებში ჩართული ხვნეშა ვაშტის აღარ აღიზიანებდა. ესეც მელოდიის ნაწილადა იქცა. აღარც მის მეგობარს აღაშფოთებდა ქრიალის ხმები, მისივე თავში გაისმოდნენ თუ კედლიდან. ასე იყო, არც დაობებული ხელოვნური ხილით ანუხებდათ, არც ამყრალებული წყალი აბაზანაში და არც ის ცუდი რითმები, პოეზიის მანქანა რომ ქმნიდა. თავიდან ყველაფერზე გამწარებით ჩიოდნენ, მერე კი შეეგუნ და დაივიწყეს. ყოვლივე უსიტყვოდ გახდა ჯერ ცუდი, შემდეგ კი საშინელი.

აი, საძილე მექანიზმის შემთხვევაში კი ასე არ მომხდარა. ეს უფრო მნიშვნელოვანი შეფერხება გახლდათ. ერთ დღესაც, მთელ მსოფლიოში, სუმატრაში, უესექსში თუ კურლანდიისა და ბრაზილიის აურაცხელ ქალაქში, დაღლილმა ადამიანებმა სანოლები მოიხმეს, თუმცა, უშედეგოდ. კომიკურად შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ ადამიანთა მოდგმის დაცემა ამ წამიდან შეგვიძლია, ავთვალოთ. ამ დარღვევაზე პასუხისმგებელ კომიტეტს უამრავი საჩივარი შეუვიდა და მანაც, თავისი მხრივ, ყველა დაამშვიდა, რომ საჩივრები ცენტრალურ კომიტეტთან გადამისამართდებოდა. თუმცა, უკმაყოფილება მატულობდა, რადგან კაცობრიობას ძილის გარეშე სიცოცხლე ჯერაც არ შეეძლო.

„ვიღაც *მანქანაში* ერევა,“ ასე დაიწყეს.

„ვიღაცას გამეფება მონდომებია, პირადი ელემენტის ხელახლა დანერგვა სურს.“

„*უსახლკარობით* უნდა დაისაჯოს.“

„წინ! *მანქანისათვის* შური უნდა ვიძიოთ!“

„ომი! ის ადამიანი უნდა მოკვდეს!“

თუმცა, თვითაღმდგენი მექანიზმის კომიტეტმა პანიკა ფრთხილად შერჩეული სიტყვებით დააცხრო და გაამხილა, რომ თავად თვითაღმდგენ მექანიზმს სჭირდებოდა შეკეთება.

ამ წრფელ აღიარებას საუცხოო შედეგი მოჰყვა.

„ცხადია“, ამბობდა საფრანგეთის რეგოლაციის მცოდნე ცნობილი ლექტორი, რომელიც ყოველ მორიგ რღვევას შთამბეჭდავად ამკობდა. „ცხადია, ამჟამად, ჩივილისაგან თავი უნდა შევიკავოთ. თვითაღმდგენი მექანიზმი წარსულში ისე კარგად გვეპყრობოდა, რომ ყველა ვუთანაგრძნობთ და მოთმინებით დაველოდებით მის გამოსწორებას. საქმიანობას თავის დროზე განაგრძობს. იქამდე კი საწოლების, ტაბლეტებისა და სხვა მცირე საჭიროებების გარეშეც გავძლებთ. დარწმუნებული ვარ, მანქანასაც ეს ენდომებოდა.“

ათასობით მილით დაშორებული აუდიტორია ტაშს უკრავდა ლექტორს. მათ მანქანა კვლავაც აკავშირებდა ერთმანეთთან. ზღვების სიღრმეში და მწვერვალების ქვეშ ის სადენები გადიოდნენ, რომელთა მეშვეობითაც ხედავდნენ და ესმოდათ, იმ დიდრონი თვალებითა და ყურებით, მემკვიდრეობით რომ ერგოთ, სანამ უთვალავი მიმდინარე პროცესის ზუზუნი მათ ფიქრებს მორჩილების ერთგვაროვანი საბურველით მოსავდა. მხოლოდ მოხუცები და ავადმყოფები გამოთქვამდნენ უმადურობას, რადგან, ხმა დაირხა, რომ ევთანაზიაც მოიშალა და ადამიანებში კვლავაც დაისადგურა ტკივილი.

კითხვა გართულდა. ატმოსფეროში მანკი გაჩნდა და სინათლე დაბინდა. ზოგჯერ, ვაშტი ძლივსდა არჩევდა თავისი ოთახის მეორე ბოლოს. ჰაერიც გაფუჭდა. გამეტებით ჩიოდნენ, საშველი არ ჩანდა, ლექტორი კი საგმირო ტონით მოთქვამდა: „მტკიცედ! მტკიცედ! რა მნიშვნელობა აქვს, სანამ მანქანა კვლავაც არსებობს? მისთვის ერთია ბნელი და ნათელიო.“ და მართალია, დროთა განმავლობაში, რაღაცები ცოტათი გამოსწორდა, მაგრამ ნაპერწკალი ჩაქვრა და კაცობრიობამ მიმწუხრიდან ველარ გამოაბიჯა. ისტერიულად საუბრობდნენ „ზომების მიღებასა“ და „დროებით დიქტატურაზე“, სუმატრის მაცხოვრებლებს კი სთხოვეს, ცენტრალური ელექტროსადგურის მუშაობის მექანიზმში გამორკვეულიყვნენ, იმ სადგურისა, საფრანგეთში რომ იყო. პანიკამ დაისადგურა და ადამიანები თავიანთ ძალებს წიგნებზე ლოცვას ახმარდნენ. ისინი ხომ მანქანის ყოვლისშემძლეობის ხელშესახები მტკიცებულებანი იყვნენ. ზოგჯერ შიში იკლებდა და ხანდახან იმედიანი ხმებიც ვრცელდებოდა, რომ თვითაღმდგენი მექანიზმი შეკეთებულიყო, რომ მანქანის მტრები დამარცხებულიყვნენ, რომ ახალი „ნერვცენტრები“ ყალიბდებოდა და ყოველივე უწინდელზე უკეთაც კი იმუშავებდა. თუმცა, ერთ დღესაც, ყოველგვარი გაფრთხილებისა თუ მინიშნების გარეშე, მთელი საკომუნიკაციო სისტემა მთელ სამყაროში მოიშალა და მათთვის ნაცნობი სამყარო დასრულდა.

ვაშტი ამ დროს ლექციას ატარებდა. იქამდე კომენტარებს ტაშით აწყვეტინებდნენ, ხოლო როცა საუბარი განაგრძო, აუდიტორია დადუმდა და არც საკითხი რომ შეაჭამა, მაშინ

ამოუღიათ ხმა. უკმაყოფილომ დაურეკა მეგობარს, რომელიც თანაგრძნობის ექსპერტი გახლდათ. სრული სიჩუმე იდგა, უეჭველად ეძინა. მერე მეორე მეგობარს დაურეკა, მერე მესამეს და ასე, სანამ კუნოს იდუმალი ნათქვამი არ მოაგონდა, მანქანა გაჩერდებოდა.

ეს ფრაზა მისთვის კვლავაც არაფერს ნიშნავდა. მარადისობა თუკი წყდებოდა, ალბათ ეს სწრაფად მოხდებოდა.

მაგალითად, მცირეოდენი შუქი და ჰაერი ჯერაც მორჩენილიყო, ატმოსფერო რამდენიმე საათის წინ გაიწმინდა. ჯერაც არსებობდა წიგნი და სანამ წიგნი იყო, იყო თავშესაფარიც.

მერე კი სასონარკვეთა დაეუფლა, რადგან უმოქმედობას მოულოდნელი საშინელება, სიჩუმე მოჰყვა.

სიჩუმეში არასდროს ყოფილა და ამან თითქმის მოკლა. ათასობით ადამიანი მართლაც ასე დაიღუპა. ვაშტი დაბადებიდან გაბმულ ზუზუნში ცხოვრობდა. მის ყურს ეს ისე სჭირდებოდა, როგორც ხელოვნური ჰაერი ფილტვებს და თავში აუტანელმა ტკივილმა დაუარა. ისე, რომ არც იცოდა, რას შვრებოდა, წინ გაფორთხდა და იმ უცხო ღილაკს დააჭირა, მისი ოთახის კარს რომ აღებდა.

ახლა ოთახის კარი უბრალო ანჯამაზე იყო დამაგრებული და იმ ცენტრალურ ელექტროსადგურს არ ებმოდა, შორეულ საფრანგეთში რომ ილეოდა. კარი გაიღო და ვაშტის ზედმეტი იმედი მიეცა, რადგან იფიქრა, მანქანა ისევ ამუშავებულიყო. ის ბნელი გვირაბი დაინახა, შორს, თავისუფლებისაკენ რომ ირკალეობდა. ერთი გაიხედა და უკანვე შევარდა, რადგან გვირაბი ხალხით იყო სავსე, ვაშტი თითქმის ბოლო ადამიანი იყო მთელ ქალაქში, ვინც განგაში ატეხა.

ადამიანები ყოველთვის ზიზღს ჰგვრიდნენ, ახლა კი ყველაზე საშინელ კომპარში აღმოჩნდა. ხალხი აქეთ-იქით დახოხავდა, ყვიროდნენ, ზღუქუნებდნენ, ქოშინებდნენ, ერთმანეთს ეხებოდნენ, ბნელში იკარგებოდნენ და ვილაცები პლატფორმიდან კონტაქტურ რელსებზე ცვიოდნენ. ზოგი ელექტრონულ ზარებს ეჭახირებოდა და მატარებლის მოხმობას ცდილობდა, თუმცა, უშედეგოდ. ზოგი ევთანაზიასა თუ აირწინაღს ითხოვდა და მანქანას წყევლიდა. ზოგიერთები, ვაშტის ჩათვლით, თავიანთი ოთახების კარებებთან იდგნენ და ძრწოდნენ, ვერ გადაეწყვიტათ, ჩართულიყვნენ ამ ყოველივეში თუ არა. ამ აურზაურის მიღმა კი სიჩუმე ჩამომდგარიყო, სიჩუმე, დედამიწისა და გარდასული თაობების ხმიანობა.

ამას ისევ მართობა სჯობდა. კარი ისევ მიხურა და აღსასრულის მოლოდინში ჩამოჯდა. არეულობა გრძელდებოდა, შემადრწუნებელი ტკაცანისა და გუგუნის თანხლებით.

სამედიცინო მექანიზმის დამჭერი სარქველები მორყეულიყო და გამოგლეჯილი მონყობილობა უშნოდ გამოჰკიდებოდა ჭერს. იატაკი გაიბერა, დაიძრა და ვაშტი სკამიდან მოისროლა. რომელიღაც გველივით დაკლაკნილი მილი მისკენ გამოფრინდა. და უკანასკნელმა ზარმაც ჩამოკრა, სინათლემ მიღევა იწყო და ვაშტი მიხვდა, რომ ცივილიზაციის გრძელი დღე დასასრულს მიახლოებოდა.

წინ და უკან ტრიალებდა, ლოცულობდა, როგორმე გადარჩენილიყო, წიგნს ემთხვეოდა, ღილაკს ღილაკზე აჭერდა. გარეთ აურზაური მატულობდა და კედელიც კი გაბზარა. ვაშტის ოთახი დაბნელდა და მეტალის ჩამრთველებიდან ჩრდილები გაქრა. ახლა ვერც საკითხავ მერხს ხედავდა და ველარც წიგნს, ხელში რომ ეჭირა. ხმასთან ერთად სინათლე გაუჩინარდა, სინათლესთან ერთად ჰაერიც ქრებოდა და ვაშტის მღვიმე კვლავ იმ პირვანდელ სიცარიელეს შეერწყა, რომლიდანაც ამდენ ხანს იყო გამოცალკევებული. ისევ ბზრიალებდა, რომელიღაც ძველი მორწმუნესავით, კიოდა, ლოცულობდა და სისხლიანი ხელებით აჭერდა ღილაკებს.

მერე კი საპატიმრო გააღო და იქიდან გამოაღწია. სულით გამოაღწია, ასე მგონია, ჩემი ჭვრეტის დასასრულს. არ მესახება, სხეულით გამოეღწია. შემთხვევით იმ ღილაკისათვის დაეჭირა, კარს რომელიც აღებდა. მყრალი ჰაერის შეხებამ და გამაყრუებელი, მთრთოლვარე ჩურჩულის გაგონებამ მიახვედრა, რომ მის წინ ისევ გვირაბი და ის უზარმაზარი პლატფორმა იყო, ზედ რომ ადამიანები იბრძოდნენ. ახლა აღარავინ იბრძოდა. მხოლოდ ჩურჩული და სლუკუნით კვნესოდნენ. ათასობით ადამიანი ბნელში იხოცებოდა.

ვაშტის ცრემლები წასკდა.

ცრემლებიც გამოეპასუხნენ.

ადამიანთა მოდგმას დასტიროდნენ, თავიანთ თავებს კი არა. ვერ უძლებდნენ იმ ცოდნას, რომ ყოველივე სრულდებოდა. სიჩუმის ჩამოდგომისთანავე გაიხსნა მათი გულები და უწყოდნენ, რა იყო დედამიწაზე ყოველივეზე მთავარი. ადამიანი, რჩეული მოკვდავთა შორის, ყოველ ხილულ არსებაზე უფრო კეთილშობილი, ადამიანი, რომელმაც ერთ დროს თავის ხატად შექმნა ღმერთი და მისი ძლევამოსილება თანავარსკვლავედებზე არეკლა, მშვენიერი, შიშველი ადამიანი კვდებოდა, იგუდებოდა თავისივე მოქსოვილ სამოსში გამოკვართული. საუკუნიდან საუკუნემდე ირჯებოდა და აი, მისი ჭილდოც. თავიდან რა ღვთაებრივი მოჩანდა ეს სამოსი, კულტურის ფერებად ბზინავი, თავდადების ძაფებით შეკერილი! იქამდე იყო ღვთაებრივი, მანამ სამოსი იყო და მეტი არაფერი, ადამიანს შეეძლო ნებისამებრ გაეძრო და თავისი არსით - სულითა და თანაბრად ღვთიური არსით,

ხორციტ ეცხოვრა. სწორედ სხეულისადმი შეცოდების გამო მოთქვამდნენ, საუკუნეთა მანძილზე ჩადენილი ავის, კუნთების, ნერვებისა და იმ ხუთი კარიბჭისადმი შეცოდების, რომელთა მეშვეობთაც ჭვრეტა ძალგვიძს. ყოველივე ევოლუციით მართლდებოდა, სანამ თეთრ ფაფად არ იქცა სხეული, გაუფერულდა აზრების სავანე, იმ სულისაგან, ვარსკვლავებს რომ ეჭიდებოდა კი მხოლოდ ატალახებული ტოკვადა დარჩა.

„სად ხარ?“, სლუკუნებდა ვაშტი.

„აქა ვარ“, უპასუხა ხმამ ბნელში.

„რამე იმედი არსებობს, კუნო?“

„ჩვენთვის არა.“

„სად ხარ?“

გვამებზე გადაცოცდა. შვილის სისხლით შეეღება ხელები.

„ჩქარა“, ქშინავდა კუნო. „ვკვდები, მაგრამ ახლა მანქანით აღარ ვეხებით და ველაპარაკებით ერთმანეთს.“

დედას აკოცა.

„ჩვენივე თავებს დავუბრუნდით. ვკვდებით, მაგრამ სიცოცხლეს ვიბრუნებთ, როგორც უესექსში, როცა ალფრედ დიდმა დანიელები დაამარცხა. ვიცით, გარეთ რაც იციან, მათ, ვინც სადაფისფერ ღრუბელში ბინადრობდნენ.“

„მართალია, კუნო? მართლა ცხოვრობენ ადამიანები დედამიწის ზედაპირზე? ეს გვირაბი, ეს შხამიანი უკუნი ნამდვილი აღსასრული არაა?“

კუნომ მიუგო:

„მე ვიხილე ისინი, ველაპარაკე და შევიყვარე. ნისლსა და გვიმრებში იმალებიან, სანამ ჩვენი ცივილიზაცია არ შეწყდება. დღეს უსახლკარონი არიან, ხვალ კი...“

„ო, ხვალ. ხვალ ვინმე სულელი ისევ მოქოქავს მანქანას.“

„აღარასოდეს“, თქვა კუნომ. „ადამიანმა თავისი გაკვეთილი ისწავლა.“

თქვა და მთელი ქალაქი ფიჭასავით გადატყდა. ვომიტორიუმის გავლით დირიჟაბლი დანგრეულ სადგომს შესჯახებოდა. ძირს დაეშვა და აფეთქდა. ერთიმეორის მიყოლებით ანგრევდა დერეფნებს თავისი ფოლადის ფრთებით. ნამიერად მოჰკრეს თვალი მკვდრების ზღვას და სანამ მათ შეერთვოდნენ, შეუბღალავი ცის ნაფლეთიც დალანდეს.